

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი  
სამართლის სამაგისტრო პროგრამა



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

**საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა და აღსრულებადობა  
ქართული სამართლის მიხედვით**

ავტორი: ნატალი ქემბაძე  
ხელმძღვანელი ოთარ მაჩაიძე - მოწვეული ლექტორი

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

თბილისი  
2019

## სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა .....	2
I. შესავალი.....	3
II. საარბიტრაჟო შეთანხმება.....	5
1. საარბიტრაჟო შეთანხმების ცნება.....	10
1.1. მხარეთა შორის საარბიტრაჟო დათქმის არსებობა .....	12
1.2. საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა .....	16
2. საარბიტრაჟო შეთანხმების სახეები .....	17
3. საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეები.....	18
3.1. ფიზიკური პირები .....	19
3.2. იურიდიული პირები .....	20
3.3. სახელმწიფო .....	22
3.4. მესამე პირები .....	23
III. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა და მისი წინაპირობები .....	24
1. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა.....	24
1.1. საარბიტრაჟო შეთანხმება ელექტრონული ფორმით .....	27
2. საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი .....	30
2.1. საარბიტრაჟო შეთანხმების რეკვიზიტები.....	33
IV. საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება .....	38
1. საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების ქართული საკანონმდებლო რეგულირება .....	42
2. მხარეთა ვალდებულება აღსრულონ საარბიტრაჟო შეთანხმება.....	45
3. არბიტრაჟის ვალდებულება აღსრულოს საარბიტრაჟო შეთანხმება .....	50
4. საარბიტრაჟო შეთანხმება - სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი.....	56
V. დასკვნა .....	59

## გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

### *ქართულენოვანი*

სხვ. - სხვა

ა.შ. - ასე შემდეგ

იხ. - იხილე

გვ. - გვერდი

მაგ.- მაგალითად

### *ინგლისურენოვანი*

AAA - American Arbitration Association

ADR – Alternative Dispute Resolution

FAA – Federal Arbitration Act (USA)

UNCIRAL- United Nations Commission on International Trade Law

ICCA – International Council for Commercial Arbitration

## I. შესავალი

არბიტრაჟი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR) მექანიზმის წარმოადგენს. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ პარალელურად გამოიწვია სამართლებრივი ურთიერთობებისა და რეგულაციების დახვეწა. მსოფლიოში არსებულმა გლობალიზაციის პროცესმა, ასევე, ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებამ გავლენა იქონია კერძოსამართლებრივი დავების განხილვის ფორმებსა და წესებზე<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი მოქმედებს სასამართლო სტრუქტურის ფარგლებს გარეთ, შეიქმნა სამართლებრივი ჩარჩოების შემუშავების აუცილებლობა მისი ეფექტური და მიზნობრივი ფუნქციონირებისათვის. არბიტრაჟის წესით საქმის განხილვა აღიარებული პროცედურაა სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, სადაც დავის საგანს წარმოადგენს ქონებრივი ურთიერთობები. არბიტრაჟი (შესაძლო) დავის მხარეებს სთავაზობს სასამართლო პროცესზე უფრო სწრაფ და ფინანსურად ხელსაყრელ წესებს, სასამართლოსთვის დადგენილი წესების გვერდის ავლით.<sup>2</sup>

არბიტრაჟი საქართველოში 1997 წლიდან მოქმედებს და უკანასკნელი ოცდაორი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი გზა განვლო. 2009 წელს “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონმა განიცადა ცვლილებები, რის შედეგადაც იგი მეტად მოერგო თანამედრო სამართლებრივი ურთიერთობების მოთხოვნებს და მხარეთა ინტერესების დაცვა ბევრად მოსახერხებელი გახდა. ძირითად წყაროს რაღა თქმა უნდა წარმოადგენს “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონი. დღეის მდგომარეობით საარბიტრაჟო შეთანხმების ცნების რეგულირების ნაწილში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულად ითვალისწინებს ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებას, რაც რაღა თქმა უნდა დადებითად აისახება თავად არბიტრაჟის ფუნქციონირებაზე და შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა თავისი არსით გამორიცხავს დავის განხილვის შესაძლებლობას სასამართლოს მიერ, ამდენად მხარეთა ნება ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს დაფიქსირებული შეთანხმებაში. რამდენადაც დავის განხილვის შესახებ შეთანხმება შესაძლოა

<sup>1</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47) '15 ნ. ლიპარტია გვ. 124.

<sup>2</sup> იხ.: J.G. Merrills, International Dispute Settlement, fourth edition, University of Sheffield, CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS, 2005, გვ. 117,

არსებობდეს როგორც ხელშეკრულების ნაწილის, ასევე ცალკეული დათქმის სახით, აღნიშნულს არ აქვს მნიშვნელობა მისი აღსრულებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია საარბიტრაჟო შეთანხმების ნადვილობის წინაპირობები და მისი აღსრულებისათვის აუცილებელი პირობების დაკმაყოფილება. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული რეგულაციები საარბიტრაჟო შეთანხმებასთან მიმართებით, ასევე საერთაშორისო წესები და შესაბამისი პრაქტიკული ასპექტები.

წინამდებარე თემის აქტუალობა გამოწვეულია საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის დახვეწევით. აღნიშნულმა საჭირო გახადა მოქნილი სამართლებრივი სისტემისა და რეგულირების არსებობა. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სრულყოფილი ფორმით, შეინიშნება ხარვეზები, თუმცაღა თვალს თუ გადავავლებთ საარბიტრაჟო ინსტიტუტისა და რეგულაციების განვითარების ისტორიას, წინსვლა ნათლად იკვეთება. სამწუხაროდ, საქართველოს პრაქტიკა დავის გადაწყვეტისათვის არბიტრაჟის გამოყენების კუთხით არც თუ ისე ფართოა, მაგრამ მოცემული რეალობაც იძლევა ტენდენციებისა და რეგულაციების ძალაში მოყვანის ანალიზისა და შეფასების საშუალებას.

ნაშრომის მიზანია განსაზღვროს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისა და აღსრულებადობის წინაპირობები და პრაქტიკული საკითხები საქართველოს სამართლის მიხედვით. თემას აქტუალობას სძენს ის ფაქტი, რომ არ არის ჩამოყალიბებული ერთგავროვანი სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო შეთანხმებისა და აღსრულებადობის კუთხით. საკითხის დამუშავებისათვის გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი რეგულაციების მორგების განსაზღვრა და აღსრულება პრაქტიკაში, ასევე საერთაშორისო პრაქტიკისა და თეორიული ნაწილის ანალიზი საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისა და აღსრულებადობის კუთხით.

ნაშრომში გამოყენებული იქნება ქართველი და უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომები და სახელმძღვანელოები, აგრეთვე პუბლიკაციები. ნორმატიულ ბაზად შესწავლილია არბიტრაჟთან დაკავშირებული

საკანონმდებლო აქტები. ნაშრომში ასვე გამოყენებული იქნება არსებული სასამართლო პრაქტიკა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

## II. საარბიტრაჟო შეთანხმება

საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა წარმოადგენს წინაპირობას საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისათვის. საერთაშორისო რეგულაცია საარბიტრაჟო შეთანხმებასთან დაკავშირებით საკმაოდ მრავალფეროვანია. აღსანიშნავია, რომ პირველი საერთაშორისო აქტი, რომელიც მიღებული იქნა არბიტრაჟთან დაკავშირებით, იყო 1923 წლის ჟენევის ოქმი საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ და 1927 წლის ჟენევის ხელშეკრულება „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ“.<sup>3</sup> “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონი ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით არსებობას. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის სავალდებულოობა საკმაოდ რთულ და კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე ბევრია დამოკიდებული როგორც საქმის განხილვისა და გადაწყვეტის, ასევე მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესის განხორციელებისათვის. საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შესახებ არსებობს სამი თეორია: სახელშეკრულებო ანუ მატერიალური, საპროცესო და შერეული.<sup>4</sup> სახელშეკრულებო თეორიის თანახმად, არბიტრაჟი წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის ინსტიტუტს და მისი ერთადერთი მიზანია საარბიტრაჟო შეთანხმების მეშვეობით დავის გადაწყვეტა. საპროცესო თეორიის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება გულისხმობს სახელმწიფო სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვას და იგი ასევე მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიმართულებითაც. ამ თეორიების მიმდევრები არიან როგორც გერმანიაში, ისევე ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე სხვა ქვეყნებში. შერეული თეორიის წარმომადგენლები აღიარებენ არბიტრაჟის საპროცესო სამართლებრივ ბუნებას, მაგრამ, ამავე დროს, საარბიტრაჟო

<sup>3</sup> “საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები” ნინო ლიპარტია. მართლმსაჯულება და კანონი #4(47)'15 გვ. 126. (ციტირებულია წყაროდან: Convention On The Execution of foreign Arbitral Awards, Signed at Geneva, 1927).

<sup>4</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 108.

შეთანხმებას მიიჩნევენ მატერიალურ სამართლებრივ ხელშეკრულებად, რომელსაც საპროცესო სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.<sup>5</sup>

საარბიტრაჟო ფორმასთან დაკავშირებული პრაქტიკისა და კანონმდებლობის კვლევამ აჩვენა, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოთა დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულია. ამგვარი დამოკიდებულებისაგან წარმომდგარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, შეიქმნა მოდელური კანონი, რომლის ნორმების გადმოტანა უნდა მომხდარიყო ეროვნულ კანონმდებლობაში.<sup>6</sup> სასურველი განვიხილოთ, რომ 1997 წლის 17 აპრილს, “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მიღებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მართალია კერძო არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის დანერგვის და განვითარების თვალსაზრისით პირველი ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ კანონის სერიოზული ხარვეზიანობის გამო, არბიტრაჟის დისკრედიტაცია განხორციელდა და ნეგატიურ მოვლენებსაც კი დაედო საფუძველი.<sup>7</sup> 2009 წელს მიღებულ იქნა კანონი “არბიტრაჟის შესახებ”, რომელიც ითვალისწინებს ევროპული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. კანონის თანახმად არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. აღნიშნული განხილვის განხორციელებისათვის კი აუცილებელია მხარეთა შორის არსებობდეს საარბიტრაჟო შეთანხმება და იგი აკმაყოფილებდეს ნამდვილობის წინაპირობებს. „არბიტრაჟის შესახებ“ ახალმა კანონმა კიდევ უფრო განამტკიცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დამოუკიდებლობა, თვითონ აირჩიონ არა მარტო უფლების დაცვის ესა თუ ის ფორმა, არამედ არბიტრაჟის მეშვეობით დავის გადაწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ, თვითონვე განსაზღვრონ ის კონკრეტული არბიტრაჟი, რომელსაც მიანდობენ დავის გადაწყვეტას.<sup>8</sup> აღნიშნული დანაწესი ნათლად აჩვენებს არბიტრაჟის, როგორც ინსტიტუტის უპირატესობებს.

<sup>5</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, ნ ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 74.

<sup>6</sup> “საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები” ნინო ლიპარტია. მართლმსაჯულება და კანონი #4(47)'15 გვ. 135.

<sup>7</sup> საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი 2017, გვ. 3

<sup>8</sup> “საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები” ნინო ლიპარტია. მართლმსაჯულება და კანონი #4(47)'15 გვ. 125.

საარბიტრაჟო შეთანხმება არის მხარეთა შეთანხმება, გამოიყენონ საარბიტრაჟო სამართალწარმოება ყველა ან განსაზღვრული დავის გადასაჭრელად, რომელიც წარმოიშვა ან წარმოიშობა სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ურთიერთობისას. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კი საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე<sup>9</sup>. არბიტრაჟის შექმნისა და შესაბამისი პროცესის წარმართვისათვის ერთ-ერთი ძირეული მნიშვნელობისაა საარბიტრაჟო შეთანხმება, რადგან ნამდვილი საარბიტრაჟო პროცესი მის გარეშე არ არსებობს<sup>10</sup>. ფორმულირების მიხედვით, ძირითადი დოკუმენტის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მითითებას, რომ გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულებიდან, ხოლო ძირითადი ხელშეკრულება კი, შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას, თავისი შინაარსით წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმებას<sup>11</sup>. იმავე დეფინიციას შეიცავს გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1029-ე მუხლი<sup>12</sup>.

ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად საარბიტრაჟო შეთანხმებას გააჩნია პოზიტიური და ნეგატიური სამართლებრივი შედეგი და ისინი მდგომარეობენ შემდეგში: 1. პოზიტიური ეფექტი: იგი ავალდებულებს მხარეებს, რომ გადასცენ მათი დავა არბიტრაჟს და ანიჭებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს იურისდიქციას იმ დავის ირგვლივ, რომელიც შედის საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში. თუკი წამოიჭრება დავა, რომელიც ჯდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში, თითოეული მხარე უფლებამოსილია გადასცეს ეს დავა განსახილველად საარბიტრაჟო ტრიბუნალს. 2. ნეგატიური ეფექტი: იგი უზღუდავს მხარეებს

<sup>9</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, 5 ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 74. (გამოყენებულია წყარო: თბილისის სააკელაციო სასამართლოს 2010 წლის 01 ივლისის განჩინება, საქმე # 28/803-10).

<sup>10</sup> იხ.: A. Redfern and M. Hunter, 1999, gv. 4; Sundra Rajoo, *Drafting Effective Arbitration Agreements*, 2005, გვ.1

<sup>11</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 68.

<sup>12</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, 5 ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 74. (გამოყენებულია წყარო: თბილისის სააკელაციო სასამართლოს 2010 წლის 01 ივლისის განჩინება, საქმე # 28/803-10).



საშუალებას, რომ დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლო საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით, მხარეები უარს ამბობენ თავიანთ უფლებაზე, მიმართონ დავის გადაწყვეტის სასამართლო გზას. მხარე, რომელმაც დადო საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის უფლებამოსილი უგულებელყოს იგი და არბიტრაჟის ნაცვლად წავიდეს სასამართლოში<sup>13</sup>.

საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასთან ასევე პირდაპირ კავშირშია მისი საგანი. საარბიტრაჟო შეთანხმებაში სწორად უნდა იყოს განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის საგანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი დავა არ შეიძლება განიხილოს არბიტრაჟმა. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილება შემოიფარგლება ქონებრივ-სამართლებრივი დავებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ითვალისწინებს იმ დავების ჩამონათვალს, რომელზეც საარბიტრაჟო შეთანხმება არ დაიშვება. მაგალითად: გერმანიასა და შვედეთში საოჯახო სამართლიდან გამომდინარე საქმეები არ შეიძლება დაექვემდებაროს საარბიტრაჟო სასამართლოს, თუმცა გერმანიაში არაქონებრივი დავები ასევე ითვლება საარბიტრაჟო განხილვის საგნად.<sup>14</sup> ქართული კანონმდებლობის მიხედვით, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს სურთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი კანონმდებელი უშვებს ნებადართულად საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადებას მხოლოდ ქონებრივ დავებთან დაკავშირებით.<sup>15</sup>

სასამართლოს ასევე აქვს შემუშავებული სტანდარტები საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ამოწმებს არის თუ არა სახეზე საარბიტრაჟო შეთანხმება, რა არის მისი ფარგლები, ხომ არ არის საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი, ძალადაკარგული ან მისი შესრულება - შეუძლებელი. სასამართლოებმა ამ ეტაპზე შეიძლება გამოიყენონ საარბიტრაჟო შეთანხმების შემოწმების ორი განსხვავებული სტანდარტი: 1) *prima facie*<sup>16</sup> სტანდარტი და 2) არსებითი შემოწმების სტანდარტი. *Prima facie* სტანდარტი სასამართლოს მხრიდან გულისხმობს სასამართლო საარბიტრაჟო შეთანხმების

<sup>13</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე, გვ. 10.

<sup>14</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, ნ ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 76.

<sup>15</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, ნ ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 76.

<sup>16</sup> ე.წ. „ერთი შეხედვის“ სტანდარტი.

არსებობის შეფასებას „ერთი შეხედვით“, და თუკი დაადგენს, რომ „ერთი შეხედვით“ სახეზეა საარბიტრაჟო შეთანხმება, მისი ნამდვილობის და ფარგლების არსებითად განსამარტავად დავას გადასცემს არბიტრაჟს.<sup>17</sup> აქვე უნდა გამოიკვეთოს, რომ ბათილობა მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებას იმთავითვე თან სდევდა მხარეთა ნების ნაკლი ან ბათილობის გარკვეული საფუძველი.

სინგაპურის პრაქტიკის თანახმად მას შემდეგ, რაც სასამართლო *prima facie* სტანდარტით დარწმუნდება, რომ არსებობს დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის წინაპირობები (ე.ი. [ერთი შეხედვით] ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის ფარგლებიც მოიცავს დავას, და რომელიც არ არის ბათილი ან ძალადაკრული), სასამართლომ დავა განსახილველად უნდა გადასცეს არბიტრაჟს, რომელმაც უნდა დაადგინოს ამ წინაპირობების არსებობა/არარსებობა.<sup>18</sup> ეს მიდგომა უზრუნველყოფს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ „კომპეტენცია კომპეტენციისათვის“ პრინციპის (საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება დაადგინოს საკუთარი კომპეტენცია) გამოყენებას, რათა არბიტრაჟმა მისი იურისდიქციის არსებობა სრულად და თავდაპირველად შეაფასოს.<sup>19</sup> თავად *prima facie* სტანდარტის გამოყენების მიზანს წარმოადგენს მხარისათვის პროცესის გაჭიანურების აღკვეთა.

ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, 2015 წლამდე არსებული ფორმულირებით, სარჩელის შეტანის შემთხვევაში იმ დავაზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი იყო, სასამართლოს შეეძლო უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე და საქმის წარმოება შეეწყვიტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სასამართლოს საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინებას წარუდგენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მხარეთა შეთანხმება, თავისთავად, საკმარისი არ იყო სასამართლოსთვის არბიტრაჟზე მისათითებლად - დამატებით, საარბიტრაჟო დათქმის ერთ-ერთ მხარეს აუცილებლად უნდა შეეტანა საარბიტრაჟო სარჩელი. ეს ფორმულირება ეწინააღმდეგებოდა ნიუ იორკის კონვენციის მე-2 მუხლს და

---

<sup>17</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 9.

<sup>18</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 10. (გამოუყენებელი წყარო სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Tomolugen Holdings Ltd. and another v Silica Investors Ltd. and other appeals, SGCA 57).

<sup>19</sup> იქვე.

გაუგებარ მდგომარეობაში აყენებდა საარბიტრაჟო მოპასუხეს, რომელსაც საარბიტრაჟო სარჩელის შეტანა მოუწევდა საარბიტრაჟო შეთანხმების აღსასრულებლად. 2015 წლის ცვლილებით, ეს ხარვეზი გამოსწორდა და დადგინდა, რომ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება საკმარისია. ასევე, დაზუსტდა, რომ სასამართლომ, საქმის წარმოების შეწყვეტისას, მხარეებს არბიტრაჟზე უნდა მიუთითოს.<sup>20</sup> 2015 წლის ცვლილებებით მოიხსნა სანოტარო ფორმის მოთხოვნა, რაც მართებულია. ამავე დროს, დადგინდა, რომ თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, მაშინ ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით, ისეთი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ.<sup>21</sup>

## 1. საარბიტრაჟო შეთანხმების ცნება

საარბიტრაჟო შეთანხმება წარმოადგენს პირობას არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენისათვის.<sup>22</sup> საარბიტრაჟო შეთანხმება გადამწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტია საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისა და განხორციელებისათვის, აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. მიუხედავად განსხვავებული მიდგომებისა საარბიტრაჟო შეთანხმების კვალიფიკაციისადმი, დასაბუთებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ აზრი იმის შესახებ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება საკმაოდ სპეციფიკურია.<sup>23</sup> “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად “საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე”. როდესაც ვსაუბრობთ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ შეთანხმების ნადვილობის დადგენისათვის, უპირველეს ყოვლისა უნდა ფიქსირდებოდეს მხარეთა ნება, რომ დავა განიხილოს კერძო არბიტრაჟმა.

---

<sup>20</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, თბილისი 2017, გვ.25

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> Международный коммерческий арбитраж. В. В. Комаров В. Н. Погорельский Харьков. «Право» 2009. С 38.

<sup>23</sup> Международный коммерческий арбитраж. В. В. Комаров В. Н. Погорельский Харьков. «Право» 2009. С 38.

საარბიტრაჟო შეთანხმების პირდაპირ განმარტებას არ შეიცავს 1965 წლის ვაშინგტონის კონვენცია, თუმცა ის თავისებურად მაინც არეგულირებს ამ საკითხს.<sup>24</sup> 27-ე მუხლში აღნიშნულია, რომ "არც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო არ ანიჭებს დიპლომატიურ დაცვას და არ აღძრავს საერთაშორისო სარჩელს იმ დავასთან დაკავშირებით, რომელზეც მისი ერთ-ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო შეთანხმდა ამ კონვენციის შესაბამისად არბიტრაჟისათვის გადაცემაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს უკანასკნელი სახელმწიფო არ იცავს, ან არ ასრულებს ასეთ დავაზე გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას."<sup>25</sup> აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ნიუ-იორკის კონვენციის მე-2 (2) მუხლის მიხედვით განმარტებული საარბიტრაჟო შეთანხმება მოიცავს ხელშეკრულებაში არსებულ საარბიტრაჟო დათქმას ან დამოუკიდებელ საარბიტრაჟო შეთანხმებას. აღნიშნული ჩანაწერის შესაბამისად, პრაქტიკაში მოხდა საარბიტრაჟო დათქმისა და საარბიტრაჟო შეთანხმების დიფერენცირება. კერძოდ, გამოიყო:

ა) საარბიტრაჟო დათქმა, გათვალისწინებულია მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში და განსაზღვრავს, მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის წესს. ამგვარი შეთანხმებით მხარეები არბიტრაჟთან დაკავშირებული პირობების შეთანხმებას ახდენენ ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე.

ბ) საარბიტრაჟო შეთანხმებას წარმოადგენს მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემდგომ ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად მხარეთა მიერ შედგენილი შეთანხმება. თუმცა, პრაქტიკაში სიტყვა „საარბიტრაჟო შეთანხმება“ ხშირად გამოიყენება და მოიცავს ორივე მათგანს.<sup>26</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია მხარეთა შორის შეთანხმება არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის შესახებ გათვალისწინებული იყო მხარეთა შორის დავის წარმოშობამდე არსებულ ხელშეკრულებაშიც.

საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეები ითვალისწინებენ გამოსაყენებელ საპროცესო და მატერიალურ სამართალს. მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ როგორც კონკრეტული საარბიტრაჟო საქმის წარმოების წესები, ისე რომელიმე საპროცესო კანონმდებლობა. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, როგორც წესი, მოქმედებს იმ

<sup>24</sup> საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, გ.ცერცვაძე, თბილისი 2008, გვ. 106

<sup>25</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 99 (ციტირებულია წყაროდან: "Бейкер и Макензи", Международный Коммерческий Арбитраж, Москва, 2001, с. 476)

<sup>26</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 128.

ქვეყნის სამართალი, რომელთანაც კონკრეტული საქმის გარემოება უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული (გერმანია) ან თავად არბიტრაჟი განსაზღვრავს გამოსაყენებელ სამართალს (საქართველო), ან პირდაპირ იმ ქვეყნის სამართალი გამოიყენება, სადაც საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე დავის განხილვა მოხდება (შვედეთი). საქართველოში არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები. ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს.

### **1.1. მხარეთა შორის საარბიტრაჟო დათქმის არსებობა**

როგორც წესი, საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლებელია დაიდოს როგორც დათქმის,<sup>27</sup> ასევე ცალკე შეთანხმების სახითაც. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დათქმასა და ცალკე შეთანხმების ფორმით დადებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას შორის მიზნობრივი განსხვავების არსებობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: ხელშეკრულებით გათვალისწინებული დათქმით, მხარეები არეგულირებენ მათ შორის შემდგომში შესაძლო წარმოსაშობი დავის განხილვისა და გადაწყვეტის პირობებს. მაშინ როდესაც ცალკე გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმებით მხარეები ასევე, შეიძლება შეთანხმდნენ მათ შორის სხვა ნებისმიერი საფუძველით უკვე წარმომშობილი ქონებრივი დავის განხილვისა და გადაწყვეტის პირობებზე.<sup>28</sup> მიუხედავად იმისა, რომ, დათქმასა და უშუალოდ საარბიტრაჟო შეთანხმებას შორის იკვეთება განსხვავება საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე, არსებობს შეხედულება, რომ დათქმის დადების შემთხვევაში საკმარისია საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის დადგენისათვის, რაც შემდგომ იწვევს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მითითება ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას აუცილებლად

---

<sup>27</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი სახე, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესაძლო სამომავლო დავა გადაწყდეს არბიტრაჟის მეშვეობით. საარბიტრაჟო დათქმა წარმოადგენს მხარეთა ძირითადი ხელშეკრულების ნაწილს. (არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი)

<sup>28</sup> Dispute settlement, International Commercial Agreement, United Nations Conference on Trade and Development, 1.1 Definition. Arbitration agreement, arbitration clause and submission agreement, 2005, p. 3.

უნდა ხდიდეს ხელშეკრულების ნაწილად.<sup>29</sup> მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების გარდა, შესაძლებელია არსებობდეს ისეთი საარბიტრაჟო შეთანხმება, სადაც არ არსებობს მხარეთა ხელმოწერა<sup>30</sup> და იგი დადებული იყოს ელექტორული ფორმით.

საჭიროა ყურადღება გამავახვილოთ ad hoc სამართალზეც საარბიტრაჟო შეთანხმების დათქმის არსებობის ჭრილში. არსებული რეალობიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ არსებობს რისკი ad hoc<sup>31</sup> საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილად ცნობა არ მოხდეს სასამართლოს მიერ. ad hoc არბიტრაჟი თავისი არსით მოიაზრებს იმას, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მხარეებმა არ იციან, ვინ იქნება მათი დავის განმხილველი არბიტრი/ არბიტრაჟი. ამასთან, ისინი არ ირჩევენ რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულებას, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევდა მათ შორის დავას, არამედ მხარეები თავად, ან სასამართლოს (ან სხვა ორგანოს) დახმარებით ნიშნავენ არბიტრებს და ამგვარად შემდგარი არბიტრაჟი თავად წარმართავს პროცესს, მხარეთა შეთანხმებული ან არბიტრაჟის დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ამდენად, ad hoc საარბიტრაჟო დათქმა ვერ გაითვალისწინებს „კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებას“ და ვერც „არბიტრაჟის ზუსტად იდენტიფიცირებას“ მოახდენს.<sup>32</sup> აღნიშნული შესაძლოა შეეხოს არა მხოლოდ ad hoc საარბიტრაჟო დათქმას, არამედ, დასაშვებია სასამართლომ იმავე არგუმენტებით არ იხელმძღვანელოს ad hoc საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობის დადგენისას.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო დათქმა მხოლოდ მაშინაა კანონშესაბამისი, თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია კონკრეტული არბიტრაჟი (არბიტრი),

---

<sup>29</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 68

<sup>30</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 129.

<sup>31</sup> არბიტრაჟი, რომლის ადმინისტრირებაც არ ხდება საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ. ad hoc არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეებს თავად უწევთ არბიტრაჟის ყველა ასპექტის, მათ შორის: არბიტრთა რაოდენობის, მათი არჩევის/დანიშვნის წესის, გამოსაყენებელი საარბიტრაჟო წესების, არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრა. Ad hoc არბიტრაჟის არჩევის შემთხვევაში მხარეები, როგორც წესი, თანხმდებიან გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ შემუშავებულ საარბიტრაჟო წესებზე.

<sup>32</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, თბილისი 2017, გვ.24

თანაც აღნიშნული დათქმა უნდა იყოს უალტერნატივო. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რეალობაში საბაზრო ძალაუფლების მქონე დომინანტი მხარე იყენებს არბიტრაჟზე ზოგად მითითებას, ან ტერმინს “მოსარჩელის არჩევით”, რასაც სააპელაციო სასამართლო არ მიიჩნევს კანონშესაბამის შეთანხმებად.<sup>33</sup>

სამოქალაქო საქმე შესაძლებელია განსახილველად დაექვემდებაროს არბიტრაჟს იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება არ შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას, თუმცა, საარბიტრაჟო შეთანხმება გათვალისწინებულია სხვა დოკუმენტში, რომელიც ძირითადი ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილია. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი უშვებს დათქმის სახით არსებული შეთანხმების არსებობის შესაძლებლობას. „ხელშეკრულებაში არსებული მითითება, ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება. თუ ამგვარი მითითება აღნიშნული დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.“<sup>34</sup> ამგვარი დათქმა შეიძლება იყოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, გენერალური პირობები, წინარე ხელშეკრულება, კომპანიისა და ასოციაციების შინაგანაწესები და კონოსამენტი. აღნიშნული შეთანხმება შეიძლება ორი სახით არსებობდეს: 1. ის დოკუმენტი, რომელზედაც ხდება მითითება შეიცავს ნამდვილ საარბიტრაჟო შეთანხმებას; 2. როდესაც ამგვარი მითითება ასრულებს „წერილობითი დოკუმენტის“ მოთხოვნას.<sup>35</sup> აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მითითებული საკითხი არ არის დაკონრეტებული ვაშინგტონის კონვენციაში.

კონვენციის თანახმად ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი საარბიტრაჟო შეთანხმება ან ხელშეკრულებაში მოცემული საარბიტრაჟო დათქმა აკმაყოფილებს წერილობითი ფორმის მოთხოვნას. საარბიტრაჟო დათქმის ცალკე ხელმოწერის საჭიროება არ არსებობს. საერთაშორისო პრაქტის თანახმად ხშირია შემთხვევები, როდესაც ძირითადი ხელშეკრულება აკეთებს მითითებას სტანდარტულ პირობებზე ან სხვა სტანდარტულ ფორმებზე, რომლებიც შეიძლება მოიცავდნენ

<sup>33</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, 5 ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 78.

<sup>34</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 129 (გამოყენებულია წყარო: მოდელური კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი).

<sup>35</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 129 (გამოყენებულია წყარო: მოდელური კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი).

საარბიტრაჟო დათქმას. კონვენციის ფუნქციონირების საფუძველზე არსებული პრაქტის თანახმად, საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. მხარეთა სტატუსის გათვალისწინებასთან ერთად - მაგალითად, როცა მხარეები ბიზნესში გამოცდილი პირები არიან, გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული ინდუსტრიის ჩვეულებები.

საინტერესოა, რომ შვედეთის აქტი არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 6, გარკვეული გამოწვევების გარდა კრძალავს მომხმარებლებთან დავის წარმოშობამდე დადებულ საარბიტრაჟო დათქმებს: „როდესაც დავა სამეწარმეო საზოგადოებასა და მომხმარებელს შორის ეხება ქონებას, მომსახურებას ან ნებისმიერ სხვა ქონებას, რომელიც მიწოდებულია ძირითადად პირადი მოხმარების მიზნით, არ შეიძლება მიეთითოს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე, თუ იგი დადებულია დავის წარმოშობამდე“.<sup>36</sup>

სამწუხარო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ მხოლოდ საარბიტრაჟო დათქმის არსებობის შესახებ არ არსებობს საქართველოს სასამართლო მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება. თუმცა კანონიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას. ერთადერთი გამოწვევის, როდესაც ხელშეკრულების ბათილობასთან ერთად საარბიტრაჟო დათქმაც ბათილად შეიძლება იყოს ცნობილი, ესაა ნების ნაკლთან დაკავშირებული შემთხვევა.<sup>37</sup> საერთაშორისო არბიტრაჟების პრაქტიკაში ნების ნაკლთან დაკავშირებით ყოფილა მსგავსი მაგალითებიც.

---

<sup>36</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, თბილისი 2017, გვ. 58

<sup>37</sup> საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი 2017, გვ. 73



## 1.2. საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა

საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა საარბიტრაჟო სამართლის ძირითადი პრინციპია.<sup>38</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა გულისხმობს განცალკევებულობის პრინციპს. მას აღიარებს ინგლისური, ფრანგული, გერმანული და შვეიცარული სამართალი. ავტონომიურობის პრინციპის მნიშვნელობა ასევე უდავოდ არის მიჩნეული იურიდიულ მეცნიერებაში.<sup>39</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობა მიზნად ისახავს საქმის საარბიტრაჟო წესით განხილვის სასარგებლოდ მხარეთა მიერ გაკეთებული არჩევანის დაცვას. ზოგადი წესის თანახმად, ხელშეკრულების თუ სხვა სამართლებრივი აქტის ბათილობა არ იწვევს მასში ჩართული საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობასაც<sup>40</sup>. კონკრეტული ხელშეკრულების ბათილობაზე და ნამდვილობაზე წარმოშობილი დავა უნდა გადაწყვიტოს საარბიტრაჟო სასამართლომ.

საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი დაცვა აუცილებელია, რადგან მხარე, რომელმაც იცის, რომ არბიტრაჟში საქმის განხილვა მის ინტერესებში აღარ შედის, სწორედ საარბიტრაჟო შეთანხმების გაბათილებას ცდილობს. სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობამ საარბიტრაჟო შეთანხმების დაცვის განსხვავებული ფორმები შეიმუშავა, თუმცა პრინციპი მაინც ერთია: ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა გამორიცხავს სასამართლოს მიერ საქმის განხილვას.<sup>41</sup> საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას. მიუხედავად იმისა რეგიონულმა სასამართლომ განიხილა დავა, სადაც მხარე დავობდა ხელშეკრულებისა და მასში შემავალი საარბიტრაჟო დათქმის, კანონისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობაზე. კერძოდ, მხარე აპელირებდა ხელშეკრულების მოტყუებით დადებაზე და ფასისა

---

<sup>38</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 99 (ციტირებულია წყაროდან: Gessner, Judith Anerkennung und Vollstreckung von Schiedssprüchen in den USA und in Deutschland PETER LANG Europäischer Verlag der Wissenschaften, 2001, s. 62)

<sup>39</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, ნ ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 73.

<sup>40</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 100.

<sup>41</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 100.

და მომსახურების ღირებულების დისბალანსზე. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადასაწყვეტი იყო, უნდა გადაეცა თუ არა მას დავა არბიტრაჟისთვის განსახილველად გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1032.2 მუხლის საფუძველზე. სასამართლომ განმარტა, რომ აქციათა ფასსა და მისი გამოსყიდვის ფასს შორის დისბალანსი, ჰიპოთეტურად შესაძლოა გამხდარიყო ძირითადი ხელშეკრულების გაბათილების საფუძველი, თუმცა არა საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ შეთანხმებას წარმოადგენდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარემ ვერ დაამტკიცა მოტყუების ფაქტი საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ, და ვერც ის, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების პირობები არ მიუთითებდა მხარეთა უფლებების დისბალანსზე. სასამართლომ საარბიტრაჟო დათქმა ნამდვილად მიიჩნია.<sup>42</sup>

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.“ ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს ბაზრის გაყოფა კონკურენციის წესების დარღვევით, უკანონოა და შესაბამისად, ბათილი. თუმცა, ეს კანონდარღვევა არ ახდენს გავლენას ამავე ხელშეკრულების იმ დებულებაზე, რომელიც დავის განხილვას არბიტრაჟს უქვემდებარებს.<sup>43</sup> საარბიტრაჟო დებულების ბათილობისთვის საჭიროა არსებობდეს ბათილობის საფუძველი თავად საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ.<sup>44</sup>

## 2. საარბიტრაჟო შეთანხმების სახეები

საარბიტრაჟო შეთანხმების სახეებზე საუბარი არ გულისხმობს ყოველი მათგანისათვის გასხვავებული სამართლებრივი შედეგის დადგომას. სახეებს შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალურ - ტექნიკური ხასიათისაა, ამიტომ როდესაც ვუთითებთ საარბიტრაჟო ხელშეკრულებას, იგი უნდა განიმარტოს, როგორც ნებისმიერი სახის საარბიტრაჟო შეთანხმება, იქნება ეს დათქმა, ჩანაწერი თუ ხელშეკრულება. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საარბიტრაჟო შეთანხმება შესაძლებელია დათქმის სახით ძირითად ხელშეკრულებაში იყოს მითითებული

---

<sup>42</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 49 (გამოყენებულია წყარო: მიუნხენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №34 SchH 06/07).

<sup>43</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 49 (გამოყენებულია წყარო:ICCA-ს სახელმძღვანელო, გვ. 69-70).

<sup>44</sup> იქვე.

ან არსებობდეს დამოუკიდებელი შეთანხმების სახით და იგი არბიტრაჟის საწყისს წარმოადგენს,<sup>45</sup> საარბიტრაჟო დათქმა კი თავის მხრივ გამოხატავს მხარეთა ნებას. 2009 წლის 19 ივნისის “არბიტრაჟის შესახებ: საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად „ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.“ აღნიშნული ჩანაწერი შეესაბამება მოდელურ კანონს. ძირითადად არსებობს ორი მიდგომა საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ, არსებულ (“compromis”, საარბიტრაჟო დათქმა) ან მომავალ დავასთან (“clause compromissoire”, საარბიტრაჟო /საწარმდგენლო-submission/ხელშეკრულება) დაკავშირებით.<sup>46</sup>

საერთაშორისო პრაქტიკამ საარბიტრაჟო შეთანხმების სამი სახე შეიმუშავა, რომლებიც დღეს ყველაზე გავრცელებულად ითვლებიან: 1. საარბიტრაჟო დათქმა – ეს არის ძირითადი ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმება, რომელიც პირდაპირაა ჩართული აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტში და მიუთითებს იმ დავების გადაწყვეტისათვის საარბიტრაჟო პროცედურის გამოყენებაზე, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე. 2. საარბიტრაჟო ჩანაწერი არის კონტრაქტისაგან დამოუკიდებელი შეთანხმება მხარეთა შორის უკვე წარმოშობილი დავის განხილვის თაობაზე. 3. საარბიტრაჟო ხელშეკრულება – დამოუკიდებელი სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებაა და ითვალისწინებს იმ დავის არბიტრაჟისათვის გადაცემას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული ხელშეკრულებიდან, ხელშეკრულებათა პაკეტიდან, ან საერთოდ მხარეთა შორის წარმოშობილი კონკრეტული ურთიერთობიდან.<sup>47</sup>

### **3. საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეები**

შეთანხმების მხარეების უფლებაუნარიანობა პირდაპირ კავშირშია საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასთან, რომლის მონაწილენი შეიძლება იყვნენ: ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე სახელმწიფოები. მხარეთა ნების ავტონომიას ყველაზე ფართო ფარგლები სწორედ საერთაშორისო საარბიტრაჟო

<sup>45</sup> Professor Michael Pryles, Drafting Arbitration Agreements, Citation: 15 Adel. L. Rev. 5, 1993, გვ. 5,

<sup>46</sup> იხ.: მოდელური კანონი, გვ. 28, პარა. 19, საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (სასემინარო ნაშრომი) ქ. ანდლულაძე, გვ. 7-8.

<sup>47</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 102 (ციტირებულია წყაროდან: Дмитриева Г. К. Международный Коммерческий Арбитраж, Москва, 1997, с. 30)

განხილვისას აქვს. როგორც წესი, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, შეთანხმონ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი. არბიტრთა უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღონ გადაწყვეტილება ამა თუ საკითხზე, მხარეთა შეთანხმებიდან უნდა გამომდინარეობდეს.<sup>48</sup> არბიტრაჟის ინიციატივები საარბიტრაჟო განხილვის ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მხარეთა შეთანხმებას.<sup>49</sup>

### 3.1. ფიზიკური პირები

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შეინიშნება სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ფიზიკური პირის, როგორც შეთანხმების მხარისადმი. მითითებულთა დაკავშირებულ არსებობს შესაბამისი სასამართლო პრაქტიკაც. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინების თანახმად, როდესაც მოპასუხე ფიზიკური პირია, მხოლოდ ხელშეკრულების გაცნობა და ელექტრონულად აღნიშნულის დადასტურება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვერ ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმების დადებად.<sup>50</sup> ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი შეთანხმება არბიტრაჟზე. შესაძლებელია საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეები იყოს ფიზიკური პირი და ადმინისტრაციული ორგანო ამ შემთხვევებში წერილობითი ფორმა დაცულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეთანხმება წერილობით დოკუმენტშია მოცემული და ხელმოწერილია მხარეების მიერ.<sup>51</sup> შესაბამისად, ფიზიკური პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს ელექტრონულად, ან კონკლუდენტურად, საარბიტრაჟო სარჩელისა და შესაგებლის გაცვლით.<sup>52</sup>

გერმანული სამართალი საარბიტრაჟო შეთანხმების სუბიექტების საარბიტრაჟო უფლებაუნარიანობის განსაზღვრის კრიტერიუმად იღებს *lex personalis*.

<sup>48</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 102 (ციტირებულია წყაროდან: Sdr. Schütze, A Rolf Schiedgericht unda Schiedsverfahren, 4. Auflage Verlag C.H. Beck, 2007, s. 81

<sup>49</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 103.

<sup>50</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №28/3594-15

<sup>51</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, მე-8 მუხლი, მე-8 პუნქტი.

<sup>52</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 33.

ფიზიკური პირებისათვის *lex personalis* არის იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელსაც ეს სუბიექტი განეკუთვნება.<sup>53</sup>

როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი, მნიშვნელოვანია დარეგულირდეს გარკვეული საკითხები, მაგალითად უფლებამოსილები გავრცელება მემკვიდრეზე, ასეთის აუცილობლობის შემთხვევაში. ინგლისის საარბიტრაჟო კანონმდებლობის თანახმად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების შეწყვეტას. ამ შეთანხმების სამართლებრივი შედეგები გავრცელდება მის მემკვიდრეებზე. ამავე დროს, ეს მუხლი არ ეწინააღმდეგება ინგლისის კანონმდებლობის იმ დებულებებს, რომელთა თანახმადაც განსაზღვრული უფლებები, ან ვალდებულებები წყდება პირის გარდაცვალებასთან ერთად.<sup>54</sup> აღნიშნულთან მიმართებით “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონი მე-8 მუხლის მე-8 პინქტით უბრალოდ მიუთითებს, რომ თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. თუმცადა ასეთ შემთხვევაში აღარ გავრცელდება იმავე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმადაც საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა. ასევე, მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც არბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.

### 3.2. იურიდიული პირები

იურიდიული პირების საკითხი სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერების დებატების საგანია. ზოგიერთი სახელმწიფოს სასამართლო იურიდიული პირის სამართლებრივ შესაძლებლობას, დადოს საარბიტრაჟო შეთანხმება, განსაზღვრავს იმ სახელმწიფოს სამართალის მიხედვით, სადაც იურიდიულ პირს

---

<sup>53</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 104 (ციტირებულია წყაროდან: Liebscher, Christoph The healthy award Challenge in international commercial arbitration International arbitration law library, Kluwer Law International, 2003, p. 159).

<sup>54</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 107 (ციტირებულია წყაროდან: Merkin, Robert Arbitration Act 1996, Third edition, 2005, p. 37).

აქვს ადგილსამყოფელი. იურისტთა ნაწილი ე.წ დაფუძნების თეორიის მომხრეა, რომელიც იმ სახელმწიფოს სამართლის გამოყენებას გულისხმობს, სადაც იურიდიული პირია დაფუძნებული.<sup>55</sup>

საინტერესოა ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ძირითად შემთხვევაში იურიდიულ პირებს შორის იდება, არბიტრაჟის, როგორც ინსტიტუტის მოქნილობისა და უპირატესობების გათვალისწინებით. შესაძლებელია საარბიტრაჟო შეთანხმების მხოლოდ ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდეს იურიდიული პირი.

შეიძლება ითქვას, რომ გამოიყენება შესაბამისი სახელმწიფოს კოლიზიური სამართლის ის ნორმები, რომლებიც შეეხებიან იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის განმსაზღვრელ სამართალს. ისევე, როგორც ფიზიკურ პირებთან მიმართებაში, იურიდიული პირებისათვის მათი უფლებაუნარიანობის განმსაზღვრელი სამართლის არჩევის უფლების მინიჭება არ იქნება სწორი. ამ დროს გადამწყვეტია, რომელი სახელმწიფოს სასამართლოს მიმართა მხარემ და როგორ არის დარეგულირებული ამ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის კოლიზიურსამართლებრივი ასპექტები.<sup>56</sup>

საქართველოს კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული ცალკეული მოთხოვნები იურიდიული პირის, როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების მხარისადმი. მთავარია იკვეთებოდეს მხარის ნება, რაც შემდგომში უზრუნველყოს საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებას. უნდა მოხდეს იმ საკითხის განხილვაც, შესაძლებელია თუ არა იურიდიული პირის მიერ დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება ჩაითვალოს ბათილად. აღნიშნულის შესახებ საქართველოს უზენაეს სასამართლოს აქვს გაკეთებული განმარტება, რომ “იურიდიული პირების ქმედუნარიანობა ხორციელდება მისი ორგანოების მეშვეობით, ამიტომ იურიდიული პირის ქმედუნარიანობის საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ, ან რომელი ორგანო, ახორციელებს იურიდიული პირის სახელით საქმიანობას, ვინ წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ის, თუ ვინ იღებს სამართლებრივად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თვით იურიდიული პირის შიგნით. “მეწარმეთა შესახებ”

<sup>55</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 108.

<sup>56</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 108.

საქართველოს კანონის 9.4 მუხლის თანახმად, დირექტორები საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი ურთიერთობა მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. ამავე კანონის 55.9 მუხლი განსაზღვრავს საქმიანობის ცალკეულ სახეებს, რომელთა განხორციელება დირექტორებს შეუძლიათ მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა, როგორც წესი, ფორმალურ ხასიათს ატარებს. მესამე პირს არ სჭირდება იმის გარკვევა, უფლებამოსილი იყო თუ არა დირექტორი დაედო გარიგება. განსახილველ შემთხვევაში დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ არ არის წარმოდგენილი რაიმე საბუთი. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვითაც, მხარეთა შეთანხმება არ არის ბათილი.”<sup>57</sup>

### 3.3. სახელმწიფო

თანამედროვე კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ტენდენციის თანახმად, თუ სახელმწიფო არის კომერციული გარიგების მხარე და საკუთარი ნებით აწერს ხელს საარბიტრაჟო შეთანხმებას, მაშინ არბიტრაჟის კომპეტენციის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები რომელიც ემყარება ამ სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობას, იშვიათად შეიძლება იქნას გაზიარებული<sup>58</sup>. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში არსებული პრაქტიკის თანახმად არც ისე ბერვრი შემთხვევა ფიქსირდება, როცა საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას უნდა გაირკვეს, ცნობისა და აღსრულების საკითხის განმხილველი სახელმწიფოს კანონმდებლობით (*lex fori*) არის თუ არა უფლებამოსილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი დადოს საარბიტრაჟო შეთანხმება. აშშ-ში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად საწარმოებსა და სახელმწიფო ორგანოებს მხოლოდ კანონით მათთვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში შეუძლიათ დადონ საარბიტრაჟო შეთანხმება.<sup>59</sup> კანონმდებლობის მიზანი და

<sup>57</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 2 აპრილის განჩინება, საქმე #ა-204-შ-43-03

<sup>58</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 110. (ციტირებულია წყაროდან: ASA Bulletin, Volume 22, No 1, Kluwer law international, 2004, p. 299)

<sup>59</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 111. (ციტირებულია წყაროდან: Gessner, Judith Anerkennung und Vollstreckung von Schiedssprüchen in den USA und in Deutschland PETER LANG Europäischer Verlag der Wissenschaften, 2001, s. 126)

სურვილია უზრუნველყოს ფიზიკური პირებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ინფორმირებული თანხმობა და ნების სიცხადე არბიტრაჟზე.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ერთხელ უკვე ჰქონდა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა სააქციო საზოგადოებამ, რომლის აქციათა საკონტროლო პაკეტსაც სახელმწიფო ფლობდა, დადო საარბიტრაჟო შეთანხმება ერთ-ერთ ინგლისურ კომპანიასთან. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 13.2 პუნქტის თანახმად, კონტრაქტიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უნდა გადაეწყვიტა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს ინგლისის 1996 წლის არბიტრაჟის შესახებ აქტის, ან მას შემდეგ ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად.<sup>60</sup> შედეგად ლონდონის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ქართულ კომპანიას დააკისრა გარკვეული თანხის გადახდა.

### 3.4. მესამე პირები

არბიტრაჟის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების ბუნება არ გამორიცხავს საარბიტრაჟო განხილვაში მესამე პირების მონაწილეობას. თუ არბიტრაჟი გადაწყვეტს, რომ მესამე პირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საარბიტრაჟო განხილვაში, ეს თავისთავად არ შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.<sup>61</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ხშირი პრაქტიკა, ამდენად საქართველოც ვერ გამოირჩევა პრაქტიკული მასალების სიუხვით მითითებულ ჭრილში.

თუ არბიტრაჟი გადაწყვეტს, რომ მესამე პირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საარბიტრაჟო განხილვაში, ეს თავისთავად არ შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუმცა მკვლევარი შლოსერი თვლის, რომ მხარეს შეუძლია ეს ფაქტი, როგორც არბიტრაჟის მიერ დაშვებული საპროცესო დარღვევა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად აქციოს.<sup>62</sup>

<sup>60</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 111. (ციტირებულია წყაროდან: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 2 აპრილის განჩინება, საქმე #ა-204-შ-43-03)

<sup>61</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 112.

<sup>62</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 114 (ციტირებულია წყაროდან: Geimer, Reinhold Beteiligung weiterer Parteien im Schiedsgerichtsverfahren, insbesondere die Drittwiderklage wignSi: Böckstiegel /Berger/Bredow (Hrsg) Die Beteiligung Dritter an Schiedsverfahren, Schriftenreihe der Deutschen Institution für Schiedsgerichtbarkeit, Band 16, Karl Heymanns Verlag, s. 80).



შვეიცარული საარბიტრაჟო რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, როდესაც მესამე პირი ითხოვს მონაწილეობის მიღებას საარბიტრაჟო განხილვაში, რომელიც მიმდინარეობს ამ რეგლამენტის შესაბამისად, ან ამ რეგლამენტის შესაბამისად მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვის მხარე ითხოვს საარბიტრაჟო განხილვაში მესამე პირის ჩართვას, არბიტრაჟი ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ყველა მხარესთან კონსულტაციების შემდეგ.<sup>63</sup>

ხაზგასასმელია ასევე შემდგომი გარემოება, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებზე ვრცელდება, სახელმწიფო კონტროლის გარეშე მესამე პირებს არ ექნებათ იმის გარანტია, რომ მათი ნების საწინააღმდეგოდ ჩათრეული არ იქნებიან საარბიტრაჟო წარმოებაში და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას მათთვის ზიანის მომტანი შედეგები არ ექნება.<sup>64</sup>

საქართველოს კანონმდებლობა კონკრეტულად არ განსაზღვრავს მესამე პირის, როგორც საარბიტრაჟო განხილვის მხარის მონაწილეობას პროცესში. “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გასაზღვრულია მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების უფლების გადაცემა მესამე პირისათვის, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს.

### **III. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა და მისი წინაპირობები**

#### **1. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა**

მნიშვნელოვანია მხარეთა ნება გამოიხატოს წერილობითი ფორმით, ექნება მას დათქმის სახე თუ იარსებებს იგი ცალკეული შეთანხმების ფორმით, ამავდროულად საჭიროა მოხდეს მხარეთა აბსოლუტური თანასწორობის პრინციპის დაცვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმება უნდა შეიცავდეს მხარეთა ნებას კონკრეტული სამოქალაქო დავის, არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განიხილოს არბიტრაჟმა და არა სასამართლომ.

<sup>63</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 114.

<sup>64</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიხედვით, ია მოქია, (სამაგისტრო ნაშრომი) თბილისი 2015, გვ. 14.

ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმება, ესაა კერძო-სამართლებრივი შეთანხმება საპროცესო ურთიერთობების ფორმის არჩევის შესახებ. იგი შეიძლება, გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე წარმოადგენდეს მხარეთა შორის დადებული სახელეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთ პირობას. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავა განხილულ იქნეს არბიტრაჟის მიერ, უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის.<sup>65</sup>

ზოგადი წესის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა, (1. 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის მუხლი 2. ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციის მუხლი 36. და ა.შ.) თუმცა 1961 წლის კონვენცია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ განსაზღვრულ შემთხვევებში უშვებს ამ შეთანხმების ნებისმიერი ფორმით დადებას.<sup>66</sup> კონვენციის ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფოც აღარებს საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობით ფორმის დაცულობას. თავის მხრივ საარბიტრაჟო შეთანხმება კი გულისმობს მხარეთა შეთანხმებაში ჩართულ საარბიტრაჟო დათქმას ან საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ნიუ-იორკის კონვენციის II მუხლის II ნაწილი აზუსტებს, რომ “ტერმინი” წერილობითი შეთანხმება” გულისხმობს საარბიტრაჟო დათქმას ხელშეკრულებაში, ან საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ან რომელსაც შეიცავს მხარეთა შორის გაცვლილი წერილები ან ტელეგრამები”. აღნიშნული გამოწვეულია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების განვითარებით და ამდენად წერილობითი შეთანხმების ფართოდ განმარტების საშუალება გვეძლევა. მითითებული პრობლემებს წარმოშობს ტერმინის იტერპრეტაციისა და მისი შემდგომი პრაქტიკაში განხორციელების მხრივ. ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმებები ვერ თავსდებიან ორმოცდაათი წლის წინ მიღებული კონვენციების მოძველებულ ფორმულირებებში. ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული მოწესრიგება ხისტია მოდელური კანონის მოქნილ

---

<sup>65</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება #ას-148-140-2017  
<sup>66</sup> “საარბიტრაჟო შეთანხმება” გ. ცერცვაძე, მართლმსაჯულება და კანონი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა 2006, გვ.130.

დებულებებთან შედარებით, რაც გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების დროს პრობლემების წარმოშობის საფრთხეს ქმნის.<sup>67</sup>

ნათელია, რომ ფორმის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის განხორციელებისათვის. რამდენადაც საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით მხარეები ფაქტიურად უარს აცხადებენ დავის სასამართლო წესით განხილვაზე, მხარეთა ნება უნდა იყოს დაფიქსირებული ცხადად და ნათლად, რაც თავის თავში გულისხმობს საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის, უპირველესყოვლისა კი წერილობითი ფორმის, დაცვას. ნაკლოვანების შემთხვევაშიც კი, საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილად მიიჩნევა, თუ დადებულია საარბიტრაჟო სარჩელის და საარბიტრაჟო შესაგებელის გაცვლის გზით, როდესაც ერთი მხარე მიუთითებს და მოწინააღმდეგე არ უარყოფს შეთანხმების არსებობას. ამავდროულად, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა შეიცავდეს მხოლოდ კომერციული, ქონებრივი შინაარსის დავის და ამ დავასთან დაკავშირებული, მის საფუძველზე წარმოშობილი ან მომავალში წარმოსაშობი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის პირობას, აქედან გამომდინარე დგინდება შესაბამისი ფორმა საარბიტრაჟო შეთანხმების ბამდვილობისათვის.

თავდაპირველად, “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის შემუშავების ეტაპზე კონკრეტულად არ იყო განსაზღვრული თუ რას გულისხმობდა წერილობითი ფორმა, ამდენად ხელმძღვანელობა ხდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლით.<sup>68</sup> როგორც ზემოთ აღნიშნა, საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. ზემოთხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ წერილობით ფორმაზე, იკვეთება დაკონკრეტების აუცილებლობაც, ამდენად “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად “საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი

<sup>67</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 120.

<sup>68</sup> მუხლი 328. ხელშეკრულების ფორმა:

1. თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ამ მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

2. თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა.

დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა”. ამ მიზნისათვის მნიშვნელობა არა აქვს საარბიტრაჟო შეთანხმება ცალკე დოკუმენტის სახით არის გაფორმებული, თუ დათქმის სახით გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. ასევე, არა აქვს მნიშვნელობა მონაწილეების რაოდენობის მხრივ საარბიტრაჟო შეთანხმება ორმხრივია თუ მრავალმხრივი, დადებულია ელექტრონული საშუალებებით ეგზემპლარების გაცვლის გზით თუ ელექტრონული შეტყობინებების გაცვლის გზით. მთავარია, მისი შინაარსი ნებისმიერი წერილობითი ფორმით იყოს დაფიქსირებული.

2006 წელს კომისიამ მოდელურ კანონში შეიტანა ცვლილებები რაც მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმებების ფორმის გამარტივებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფის ღონისძიებების ახალი, დეტალური რეჟიმის დამკვიდრებას.<sup>69</sup> მოდელური კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ასევე იდება წერილობითი ფორმით. შეთანხმება წერილობითი ფორმით დადებულად ითვლება, თუ იგი შესულია მხარეთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, დადებულია წერილების გაცვლის, სატელეგრაფო შეტყობინების ან ელექტრონული კომუნიკაციების სხვა საშუალებების გამოყენების გზით, რაც უზრუნველყოფს ასეთი შეთანხმების ფიქსაციას, ან დადებულია სასარჩელო განცხადებისა და მასზე პასუხის გზით, რომელშიც ერთ-ერთი მხარე მიუთითებს შეთანხმების არსებობაზე, ხოლო მეორე სადაოდ არ ხდის ამას. ხელშეკრულებაში არსებული მითითება დოკუმენტზე, რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმებას, ჩაითვლება საარბიტრაჟო შეთანხმებად იმ პირობით, რომ ხელშეკრულება დადებულია წერილობითი ფორმით და მითითების ხასიათი ზემოხსენებულ დათქმას ხელშეკრულების ნაწილად აქცევს.<sup>70</sup>

### 1.1. საარბიტრაჟო შეთანხმება ელექტრონული ფორმით

ტექნოლოგიების განვითარებამ მხარეებს მიანიჭა ფართო გასაქანი საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ფორმის აჩევის კუთხით. ერთ-ერთ მათგანს

---

<sup>69</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 121 (ციტირებულია წყაროდან: Sanders, Pieter The work of UNCITRAL on arbitration and conciliation second and expanded edition, Kluwer Law International, 2004, p. 257 ).

<sup>70</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 121 (ციტირებულია წყაროდან: Sanders, Pieter The work of UNCITRAL on arbitration and conciliation second and expanded edition, Kluwer Law International, 2004, p. 257 )

ელექტრონული ფორმა წარმოადგენს. „არბიტრაჟის შესახებ“ მოქმედი საქართველოს კანონის მიხედვით, „საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების შესახებ მოთხოვნა სრულდება ელექტრონული შეტყობინებით, თუ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის.“<sup>71</sup>

ელექტრონული ფორმის შეთანხმებასთან დაკავშირებით სახელმწიფოთა მიდგომა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა დოკუმენტების გაცვლას განმარტავს უფრო მკაცრად, რომელიც მოიცავს ორივეს – საარბიტრაჟო დათქმის წერილობითი ფორმით შეთავაზებასა (offer) და წინადადების წერილობითი ფორმით მიღებას (acceptance). ამ შემთხვევაში, მხარის მიერ გამოხატული ნება საარბიტრაჟო შეთანხმებასთან დაკავშირებით უნდა მივიდეს მეორე მხარესთან წერილის ან დეპეშის სახით, რომელიც უნდა დაეთანხმოს მის შინაარსს მხარეთა შორის გაცვლილ წერილსა თუ დეპეშაზე, შესაძლებელია არ არსებობდეს მხარეთა ხელმოწერა.<sup>72</sup> რაღა თქმა უნდა შესაძლებელი გახდა საარბიტრაჟო შეთანხმების ელექტრონულად გაფორმების შესაძლებლობის დადასტურება საერთაშორისო დონეზე განხილვისა და შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბების შედეგად. აღსანიშნავია, რომ UNCITRAL მუდმივად განაგრძობს მუშაობას საერთაშორისო არბიტრაჟის ახალი პირობების შესაბამისად წარმართვის, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმების იურიდიული ძალის შენარჩუნების უზრუნველყოფისათვის<sup>73</sup>. კომისია ცდილობს მოახდინოს ნიუ-იორკის კონვენციის პირობების გამოყენება შეცვლილი გარემოებების შესაბამისად. 2006 წელს, UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ მოდელური კანონი. ელექტრონული ფორმით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების დროს მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხი: 1. ელექტრონული ხელმოწერის არსებობა; 2. საინფორმაციო შეტყობინების სახით გაცვლილი შეთანხმების ნამდვილობა.<sup>74</sup> მხარეები, როგორც წესი, ფეხს უდგამენ თანამედროვეობასა და ტექნიკურ ცვლილებებს, ამ მხრივ სასამართლოს

<sup>71</sup> 2009 წლის 19 ივნისის არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>72</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 130.

<sup>73</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ. 122.

<sup>74</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 130 (ციტირებულია წყაროდან Kubicova G., Electronic Form of Arbitration Agreement, p. 17).

დანიშნულებაა მოერგოს ახალ გარემოებებს და მოახდინოს ელექტრონული ფორმით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმებების საფუძველზე განხორციელებული საარბიტრაჟო განხილვის შედეგად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ UNCITRAL-ის მე-40 სესიაზე (2002 წლის ოქტომბერი) წარმოდგენილ იქნა კონვენციის პროექტი ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით დადების შესახებ.<sup>75</sup> შეთანხმების ელექტრონულ ფორმაზე აგრეთვე საუბარია მოდელურ კანონში “ელექტრონული ვაჭრობის შესახებ” ამდენად, ფაქტიურად შეუძლებელი ხდება განხორციელებული ტექნოლოგიური ცვლილებების უგულებელყოფა და შესაბამისად იკვეთება აღნიშნული ფორმით დადებული შეთანხმების ცნობის წინაპირობები. ნორვეგიაში 2009 წელს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა არ წარმოადგენს არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვას<sup>76</sup>.

საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის თანხმად სასამართლოსთვის (მხარეების არბიტრაჟში გადამისამართებისათვის, ცნობა-აღსრულებისათვის, ა.შ.), ისევე როგორც თავად არბიტრაჟისათვის (უფლებამოსილების ფარგლების დადგენისათვის), მნიშვნელოვანია ობიექტურად დადგენადი იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების არსი. ამდენად, კანონი ითხოვს, რომ ელექტრონული შეტყობინების შემთხვევაში, მასში მითითებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს შემდგომი გამოყენებისთვის. თუკი ელექტრონული შეტყობინება ავტომატურ განადგურებას ან სახეცვლილებას ექვემდებარება, მან შესაძლოა ვერ დააკმაყოფილოს დადგენილი ფორმის მოთხოვნა. კანონის დანაწესი, რომ ელექტრონული შეტყობინებით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდგომი გამოყენებისთვის, ნიშნავს, რომ მიმოწერის წარდგენა უნდა შეიძლებოდეს, ე.ი. უნდა შეიძლებოდეს მისი რეპროდუცირება<sup>77</sup>.

კონვენციის თანახმად ელ.ფოსტას, კონსერვატიული მიდგომით, კონვენციით დადგენილი წერილობითი ფორმა დაკმაყოფილდება, თუ ხელმოწერები

<sup>75</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 123.

<sup>76</sup> Farzaneh Badieli, Online Arbitration Definition and Its Distinctive Features, Master, Thesis, გვ. 6.

<sup>77</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 31.

ელექტრონულად საიმედოა ან ელექტრონული კომუნიკაციების ეფექტური გაცვლის დადგენა შესაძლებელია სანდო სამუალებებით. ეს მიდგომა ასახულია UNCITRAL-ის მოდელური კანონის 2006 წლის ცვლილებებში.<sup>78</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომა საერთაშორისო მასშტაბით, თუმცა იკვეთება ტენდენცია ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულებების აღარების შესახებ.

## 2. საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსი

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილად რომ ჩაითვალოს, აუცილებლად უნდა იყოს ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი და განცალკევებული სამართლებრივი ურთიერთობა, მხარეთა ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, ორიენტირებული მათ შორის წარმოსაშობი ან უკვე წარმოშობილი დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების საარბიტრაჟო წესით მოწესრიგებაზე<sup>79</sup>. როგორც წესი, საარბიტრაჟო შეთანხმებას უნდა ჰქონდეს სავალდებულო და არა სავარაუდო, შერჩევითი ხასიათი. დავის განხილვის არბიტრაჟისათვის დაქვემდებარების საკითხთან დაკავშირებით, ნაცვლად სიტყვებისა „შესაძლებელია“ ან „შეიძლება“, შეთანხმების ტექსტმა უნდა გაითვალისწინოს ტერმინები „უნდა“ ან „აუცილებლად“, თუმცა არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სასამართლო სიტყვა “შეიძლება” მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონედ მიიჩნია.<sup>80</sup> ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების ტექსტით შემდეგი ფორმულირება „საჭიროების შემთხვევაში,“ საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ ნამდვილ საარბიტრაჟო შეთანხმებად არ მიიჩნია.<sup>81</sup> გაუგებრობების და არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია, რომ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით გაითვალისწინონ სიტყვა „ყველა დავა.“ თუ მხარებს სურთ, რომ არბიტრაჟმა განიხილოს მხოლოდ კონკრეტული დავა,

<sup>78</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ. 68.

<sup>79</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 70.

<sup>80</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #ას-148-140-2017

<sup>81</sup> Dispute settlement, International Commercial Agreement, United Nations Conference on Trade and Development, 5.2 The Arbitration Agreement, 2005, p. 41.

მათ აუცილებლად გარკვევით უნდა მიუთითონ და განსაზღვრონ ამ დავის დასახელება და ხასიათი.<sup>82</sup>

უმეტეს ქვეყანაში საარბიტრაჟო შეთანხმება იქნება ნამდვილი, თუ ჩამოყალბდება შემდეგი სახით „ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის მიერ.<sup>83</sup> ზემოთ მოყვანილი მაგალითები ზუსტად ასახავს ტერმინოლოგიისა და შინაარსის კონკრეტულის მნიშვნელობას საარბიტრაჟო შეთანხმების დადების დროს, ამდენად მნიშვნელოვანია გავამახვილოთ ყურადღება უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებაზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ მხარეები შეთანხმდებიან რა, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ან წარმოსაშობი დავის განხილვასთან დაკავშირებით კონკრეტული არბიტრაჟის კომპეტენციაზე, ამით ისინი კარგავენ უფლებას მიმართონ სასამართლოს ან სხვა ორგანოს. შესაბამისად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს დავის განხილვას არბიტრაჟის მიერ, ამავდროულად არ შეიძლება ითვალისწინებდეს სასამართლოს მიერ დავის განხილვის შესაძლებლობას. დაუშვებელია დავის განმხილველი ორგანოს შემდეგი ფორმულირება – „არბიტრაჟი ან სასამართლო.“ მაგალითად, საკასაციო ინსტანციამ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობად არ მიიჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმულირება – „კერძო არბიტრაჟი ან სასამართლო.“<sup>84</sup>

საარბიტრაჟო შეთანხმებად ვერ ჩაითვლება მითითება დავის კონკრეტული ორგანოს მიერ განხილვისა და გადაწყვეტის კომპეტენციაზე, თუნდაც მისი წესდება ითვალისწინებდეს დამფუძნებელ წევრებს შორის დავის არბიტრაჟის მიერ განხილვისა და გადაწყვეტის წესს. აღნიშნული ჩაითვლება არაპირდაპირ მითითებად. აუცილებელია, რომ ადგილი ჰქონდეს უშუალო, პირდაპირ მითითებას წესდების იმ მუხლზე, რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას. გარდა ამისა, საარბიტრაჟო შეთანხმებად ვერ ჩაითვლება მითითება

---

<sup>82</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 64.

<sup>83</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 64.

<sup>84</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმე #ას-176-503-09.



დოკუმენტზე, რომელიც თავის მხრივ, ასევე შეიცავს მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე.<sup>85</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება შემდეგი განმარტება: „სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ დავის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის თაობაზე მხარეთა შეთანხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით – გარიგებაა, რომელიც ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს პირობებს, რათა ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი. შესაბამისად, მხარეები ვალდებული არიან შეთანხმებაში კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება, არბიტრი მიუთითონ.“ ან შემდეგი სახის ანალიზი: „საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის ზუსტად იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა.“<sup>86</sup>

არსებობს შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში ზუსტად არ არის განსაზღვრული რომელ არბიტრაჟს უნდა მიმართონ დავის შემთხვევაში მხარეებმა. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო დათქმა მხოლოდ მაშინაა კანონშესაბამისი, თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია კონკრეტული არბიტრაჟი (არბიტრი). წინააღმდეგ შემთხვევაში, საარბიტრაჟო შეთანხმება ჩაითვლება შეუსაბამოდ კანონთან, და საჯარო წესრიგის დარღვევის მითითებით ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა.<sup>87</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში, საარბიტრაჟო შეთანხმების სპეციალურ პირობების განხილვის დროსაც კი არ აღინიშნება კონკრეტული არბიტრაჟის დასახელების ვალდებულება და ყურადღება უფრო მეტად მის შინაარსობრივ ასპექტებს ეთმობა<sup>88</sup>.

<sup>85</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 69.

<sup>86</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, თბილისი 2017, გვ.24

<sup>87</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიხედვით, ია მოქია, (სამაგისტრო ნაშრომი) თბილისი 2015, გვ.29

<sup>88</sup> იქვე.

შეუსაბამობა – როდესაც აზრის გადმოცემა არალოგიკურია/შეუსაბამოა, სასამართლო მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს განმარტებისას, რომ მხარი დაუჭიროს მხარეთა ამ სურვილს, რადგან საარბიტრაჟო დათქმის ჩამოყალიბების სტრუქტურა, მთლიანად მათ განკარგულებაშია; გაურკვეველობა – ბათილობის ეს საფუძველი მითითება უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სასამართლობისათვის ძნელია საარბიტრაჟო დათქმის მხარდაჭერა და ზოგადად, მისი აზრის გაგება. ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად, შეთანხმება ბათილია, თუკი იგი უმოქმედოა ან შეუძლებელია მისი აღსრულება; რაც გულისხმობს, რომ მხარეები არ იყენებენ დათქმულ დროში ან მაგ. როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილია, მაგრამ არბიტრაჟის შემადგენლობა არასწორადაა ჩამოყალიბებული.<sup>89</sup>

არსებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად სამართლებრივი ნაკლის მქონე იქნება საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მხარეები დათქმას გააკეთებენ შემდეგი შინაარსის დავებზე – მეზობლები საზღვრის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრასთან, მესაკუთრე და მფლობელი მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვასთან, კრედიტორი და მოვალე დავალიანების სანაცვლოდ ნივთის საკუთრებაში გადაცემასთან, უფლებამონაცვლის დადგენასთან დაკავშირებით და ა.შ.<sup>90</sup>

## 2.1. საარბიტრაჟო შეთანხმების რეკვიზიტები

სარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც ჩართულია მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში თავისი სამართლებრივი ბუნებით და შინაარსით განსხვავდება ხელშეკრულების სხვა პირობებისაგან<sup>91</sup>. ნიუ-იორკის კონვენციის მიერ დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ნებისმიერი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი

<sup>89</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიხედვით, ია მოქია, (სამაგისტრო ნაშრომი) თბილისი 2015, გვ. 30

<sup>90</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 64

<sup>91</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 132.

კვალიფიკაციისათვის<sup>92</sup>. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტერმინები „დაკავშირებით“ ან „მიმართებაში“ აქვთ ფართო მნიშვნელობა და მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც შეიძლება კონტრაქტის ტექნიკური მხარეების შესწორებისკენ იყოს მიმართული. მათ ნაცვლად უმჯობესია გამოყენებულ იქნას ტერმინი „ხელშეკრულებიდან გამომდინარე.“ აღნიშნულთან დაკავშირებით, პროფესორი გრეი აყალიბებს შემდეგ ფორმულირებას – „თუ რაიმე სადავო საკითხი წარმოიშობა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო განხილვა.“

მიუხედავად განხირციელებული ცვლილებებისა და ტექნოლოგიური განვითარებით გამოწვეული ახალი გარემოებების გათვალისწინების წინაპირობებისა უდაოა ის გარემოება, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში, არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის მხარეთა სურვილის არსებობისა, იმისათვის, რომ დავა მართლაც განხილულ იქნას არბიტრაჟის მიერ, დაფიქსირებული უნდა იყოს მხარეთა ნება იმ მინიმალური რეკვიზიტებით, რაც იძლევა მათ სურვილისა და დავის საგნის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. საარბიტრაჟო შეთანხმების დადების შემთხვევაში არ იკვეთება მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მხარისათვის ხელსაყრელ პირობებს, იგი ნეიტრალურ ხასიათს ატარებს და სწორედ მხარეთა ტერესების მაქსიმალური დაცვისკენაა მიმართული. შეთანხმებაში მაქსიმალურად მკვეთრად უნდა იყოს გამოხატული, რომ დავის განხილვა სურთ არბიტრაჟის საშუალებით. ამავე დროს შესაძლებელი უნდა იყოს იმ კონკრეტული დავის, ან სამართლებრივი ურთიერთობის ინდივიდუალიზაცია, რომელთან დაკავშირებითაც დაიდო საარბიტრაჟო შეთანხმება<sup>93</sup>.

როდესაც ვსაუბრობთ საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობასა და მის რეკვიზიტებზე, აუცილებელია ყირადღება მივაქციოთ უშუალოდ შეთანხმების ფორმულირებასა და იმას, თუ როგორ ხდება საარბიტრაჟო განხილვაზე შეთანხმება, კერძოდ, დაუშვებელია არარსებულ, სამომავლოდ შესაქმნელ არბიტრაჟზე შეთანხმება. საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებული კონკრეტული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შეთანხმების გაფორმების მომენტში აუცილებლად უნდა არსებობდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, რეგისტრირებული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაინტერესებული

<sup>92</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (სასემინარო ნაშრომი) ქ. ანდლულაძე, გვ. 9

<sup>93</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 132.

მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ბათილად იქნება ცნობილი<sup>94</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული წესი არ ეხება ერთჯერადი დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით შესაქმნელ „Ad hoc“ არბიტრაჟს, უკვე არსებული კონკრეტული საარბიტრაჟო წესების გამოყენებაზე მითითებით. შეთანხმების გაფორმების მომენტში არსებულ არბიტრაჟზე შეთანხმება გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, რომლის სამომავლო რეგისტრაციაზე და კომპეტენციაზე წინასწარ მხარეთა შეთანხმება დაუშვებელია<sup>95</sup>.

საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისა და ნამდვილობის დადგენის ერთ-ერთ ძირითად გარემოებას წარმოადგენს ხელმოწერის არსებობა. მნიშვნელოვანია ხელმოწერის არსებობა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც. ელექტრონული ხელმოწერა ეფუძნება წყვილი, ღია და დახურული, გასაღებების (საჯარო და პირადი გასაღებების) გამოყენებას. პირადი გასაღები მხოლოდ ხელმოწერისათვის არის ცნობილი, ხოლო საჯარო გასაღებით ხდება გაგზავნილი ხელმოწერის დადასტურება<sup>96</sup>. ამ დროს პირს, რომელსაც აქვს საჯარო გასაღები შეუძლია ზუსტად განსაზღვროს: ა) მოხდა თუ არა ტრანსფორმაცია პირადი გასაღების გამოყენებით, რომელიც შეესაბამება ხელმოწერი პირის საჯარო გასაღებს; ბ) მოხდა თუ არა საწყისი ელექტრონული ჩანაწერის შეცვლა მას შემდეგ, რაც შესრულდა ტრანსფორმაცია<sup>97</sup>. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით, ელექტრონული ხელმოწერა გათანაბრებულია წერილობით ხელმოწერასთან და სასამართლოში მტკიცებულების ძალა აქვს. შესაბამისად, ამგვარი ხელმოწერის არსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილია და ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას ნიუ-იორკის

---

<sup>94</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 67

<sup>95</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 68

<sup>96</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 124 (ციტირებულია წყაროდან: Kubicova G., *Electronic Form of Arbitration Agreement*, p. 29).

<sup>97</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 124 (ციტირებულია წყაროდან: ზამბახიძე თ., ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები, (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2205-1/2, გვ. 108).

კონვენციის შესაბამისად<sup>98</sup>. ასეთი ფორმით დადებული შეთანხმება ფორმის ნაკლის გამო ხშირად ხდება სადავო. საქმეში Standard Bent Glass Corp v. Glassrobots Oy სასამართლომ იმსჯელა რამდენად წარმოადგენდა ნამდვილ საარბიტრაჟო შეთანხმებას, მხარეთა შორის გაცვლილი ელექტრონული წერილები, რომელზედაც მიბმული (attach) იყო ხელმოსაწერი ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას. წერილების გაცვლის მიუხედავად, მხარეებს ხელშეკრულებისათვის ხელი არ მოუწერიათ. თუმცა, მათ შორის შეთანხმებული პირობებით უფლებამოსილების განხორციელება დაიწყო. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნული დავა არბიტრაჟს დაუქვემდებარა განსახილველად. ვინაიდან მიიჩნია, რომ მხარეთა შორის მკვეთრად იქნა გამოხატული ნება საარბიტრაჟო შეთანხმებასთან დაკავშირებით. სასამართლომ განმარტა, რომ „საარბიტრაჟო შეთანხმებას წარმოადგენს ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმა ან საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ ან მხარეთა შორის მოხდა წერილების ან დეპეშის ურთიერთგაცვლა.“ შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წერილობითი შეტყობინების შემდგომ დასმული მძიმე (comma) ახდენს იმის ჩვენებას, რომ მხარეთა ხელმოწერის და წერილების გაცვლის მოთხოვნა აუცილებელია, როგორც საარბიტრაჟო დათქმის, ასევე, საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისათვის. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმება ნამდვილია, თუ ხელმოწერილია მხარეთა მიერ ან იგი მხარეთა შორის გაცვლილ დოკუმენტებშია. მოცემულ შემთხვევაში, ელექტრონულ წერილებს თან ერთვის ელექტრონული ფორმის ხელშეკრულება, რომელიც შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმება იყო ნამდვილი<sup>99</sup>.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარის თქმის საფუძველი გახდა მხარის მიერ ხელმოუწერელი ხელშეკრულება. სასამართლომ მიუთითა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი, და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო

---

<sup>98</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 124 (ციტირებულია წყაროდან: Kubicova G., Electronic Form of Arbitration Agreement, p. 31).

<sup>99</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 124 (ციტირებულია წყაროდან: Standard Bent Glass, 333 F.3d, at 447-48, 333 F.3d 440: Standard Bent Glass Corp, Appellant v. Glassrobots Oy, a Corporation Registered in Finland).

საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იყო მხოლოდ საარბიტრაჟო მოპასუხის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, ხოლო საარბიტრაჟო მოპასუხეს ხელმოწერა ხელშეკრულების არცერთ გვერდზე არ ფიქსირდება. აღნიშნული კი სასამართლომ საფუძვლად მიიჩნია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმისათვის<sup>100</sup>.

აშშ-ის სასამართლო პრაქტიკის არსებული სახით ჩამოყალიბებამდე, მრავალი განსხვავებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული. აშშ-ში ფედერალური საარბიტრაჟო აქტის მეორე თავი, რომელიც მიღებული იქნა ნიუ-იორკის კონვენციის ამოქმედებისთანავე, ითხოვს წერილობითი სახით არსებული შეთანხმების აუცილებლობას. თუმცა, ხელმოწერების არსებობაზე მითითება არ მომხდარა. როგორც ფედერალური, ასევე შტატების კანონმდებლობა თანხმდება, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს. სასამართლო საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასებისას განსაზღვრავს მხარეთა ნების არსებობას<sup>101</sup>. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მხარეთა ხელმოწერის არსებობის აუცილებლობა. აღსანიშნავია, საქმეზე Sphere Drake Insurance PLC v. Marine Towing Inc. მოსარჩელე მხარე იყო სადაზღვევო კომპანია, რომლის მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი შეიცავდა საარბიტრაჟო დათქმას. მზღვეველი იყო ინგლისის, ხოლო დაზღვეული ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით რეგისტრირებული სუბიექტი. დაზღვეულმა მოითხოვა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით და ფედერალურ სასამართლოს მიმართა, თუმცა, მოგვიანებით საქმე გადაეცა არბიტრაჟს. მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში წარმოადგენდა სადაზღვევო პოლისზე მხოლოდ მზღვეველის ხელმოწერის არსებობა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დავა გადაწყდა ინგლისელი მზღვეველის სასარგებლოდ, თუმცა, დაზღვეულმა სააპელაციო წესით გასაჩივრებისას, მიუთითა წერილობითი ფორმით საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობაზე. მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაში არსებობდა საარბიტრაჟო დათქმა, თუმცა, იგი არ იყო ხელმოწერილი მხარეების მიერ. სასამართლომ განმარტა, რომ „წერილობითი

<sup>100</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიხედვით, ია მოქია, (სამაგისტრო ნაშრომი) თბილისი 2015, გვ. 14.

<sup>101</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 169.

ფორმით არსებული შეთანხმება“ მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას ან საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ ან წარმოდგენილია მხარეთა შორის გაცვლილ წერილებსა და ტელეგრამაში. ამ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მხარეთა მიერ ხელმოწერის არსებობის აუცილებლობა დადგენილი არ იქნა. შეთანხმება ნამდვილად ჩაითვალა, ვინაიდან იგი მხარეთა შორის გაცვლილ დოკუმენტში იყო<sup>102</sup>.

როგორც წესი, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა შეიცავდეს: 1. მითითებას საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე 2. მითითებას არბიტრთა კვალიფიკაციის, ასევე მათი დანიშვნისა და აცილების პროცედურის შესახებ 3. საარბიტრაჟო განხილვის პროცედურის განსაზღვრას. 4. გამოსაყენებელ მატერიალურ სამართალზე მითითებას. 5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისა და მისი კორექტირების პროცედურას<sup>103</sup>. მიუხედავად მკაცრად განსაზღვრული პირობებისა, არ არის აუცილებელი მხარეებმა მოახდინონ ყოველი დეტალის გათვალისწინება შეთანხმების საშუალებით, მთავარია შესაძლებელი იყოს მხარეთა ნების ზუსტი იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც დავის წარმოშობის შემთხვევაში შემდგომ შესაძლებელი იქნება საარბიტრაჟო განხილვის დაწყება.

#### IV. საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება

საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისათვის პირველ რიგში აუცილებელია მხარეთა შორის არსებობდეს საარბიტრაჟო შეთანხმება. მას შემდეგ, რაც არბიტრაჟის მიერ მოხდება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის შემოწმება, დღის წესრიგში დგება საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების საკითხი. საარბიტრაჟო შეთანხმებების ბათილობის პირობების არსებობის შემთხვევაში პრაქტიკის თანახმად ხდება საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებაზე უარის თქმა.

საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისათვის აუცილებელია არსებობდეს მხარის მიმართვა არბიტრაჟისადმი. შვედეთის კანონმდებლობის თანახმად,

---

<sup>102</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები მართლმსაჯულება და კანონი 4 (47)'15 ნ. ლიპარტია გვ. 124 (გამოყენებულია წყარო SPHERE DRAKE INSURANCE PLC, v MARINE TOWING, INC., et al. United states court of Appeals, fifth circuit March 23, Hearing and Suggestion fo rehearing denied April 22, 1994).

<sup>103</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 139 (ციტირებულია წყაროდან: Brunet, Edward; Spiedel, Richard E; Sternlight Jean R; Ware Stephan J; Arbitration Law in America, A Critical assessment Cambridge University Press, 2006, p. 34)

არბიტრაჟისადმი მიმართვა შესაძლებელია განხორციელდეს ორი ფორმით, კერძოდ, თხოვნა არბიტრაჟს შესახებ და საარბიტრაჟო პრეზენტაცია. მითითებული არ არის დარეგულირებული ქართული კანონმდებლობით. UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ მომენტიდანვე იკვეთება მხარეთა შორის შეთანხმების არსებობის საჭიროება. აღნიშულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გამოიყოს შესაძლებელია თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება ცნობილ იქნას ბათილად და რა შედეგი მოყვება ამას, ან არსებობს თუ არა რაიმე გარემოება, რის გამოც უარი უნდა ითქვას საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებაზე. ფედერალური საარბიტრაჟო აქტის მე-2 მუხლის (FAA) თანახმად, წერილობითი საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებაზე უარის თქმა დაიშვება, თუ არსებობს ზოგადად ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები. ფედერალური აქტის პირველ თავში მითითებული არ არის, კონკრეტულად რა უნდა მიიჩნიოს სასამართლომ ბათილობის საფუძვლად. ითვლება, რომ ამ დროს გამოყენებული უნდა იქნეს მხარეთა მიერ არჩეული სახელმწიფოს (შტატის) სამართალი, ან გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას გამოსაყენებელი პრინციპების მიხედვით დადგენილი სამართალი<sup>104</sup>. ნაკლიანი, არასრულყოფილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დეფექტური, საარბიტრაჟო შეთანხმების შემთხვევაშიც შესაძლებელია მოხდეს საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება. როდესაც დეფექტი საარბიტრაჟო შეთანხმების არაარსებით პირობას ეხება, მისი შევსება შესაძლებელია მხარეთა მიერ შეთანხმებული საარბიტრაჟო ინსტიტუტის ან ad hoc წესებით ან თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქართველოს კანონის ნორმებით. რამდენად არსებითია ნაკლი უნდა შეფასდეს კონკრეტული გარემოების ფონზე, რათა დადგინდეს რამდენად ექვემდებარება ის გამოსწორებას და, შესაბამისად, არის თუ არა შესაძლებელი საარბიტრაჟო შეთანხმების „გადარჩენა“ სასამართლოს მიერ ობიექტური განმარტების გზით<sup>105</sup>. სინგაპურის სააპელაციო სასამართლო პრეცედენტულ საქმეში Insignia Technology Co Ltd v Alstom Technology Ltd<sup>103</sup> დაეყრდნო საარბიტრაჟო შეთანხმების „ეფექტიანი განმარტების“ მეთოდს, და დაადგინა: „როდესაც მხარეებმა ნათლად გამოხატეს დავის არბიტრაჟის

<sup>104</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 139 (ციტირებულია წყაროდან: Brunet, Edward; Spiedel, Richard E; Sternlight Jean R; Ware Stephan J; Arbitration Law in America, A Critical assessment Cambridge University Press, 2006, p. 39)

<sup>105</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 40.



მეშვეობით განხილვის ნება, სასამართლომ უნდა აღსრულოს ასეთი ნება, მაშინაც კი, როდესაც შეთანხმების გარკვეული ასპექტები ბუნდოვანია, შეუსაბამოა ან ნაკლიანია გარკვეულ საკითხებში, თუკი საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება წარმართოს მხარეების უფლებების შელახვის გარეშე და [საარბიტრაჟო შეთანხმების] აღსრულება არ გამოიწვევს ისეთ არბიტრაჟს, რომელიც მხარეთა მიერ არ იყო წარმოდგენადი.<sup>106</sup> როგორც წესი, საარბიტრაჟო დებულებებში მითითებულია მხოლოდ საარბიტრაჟო წარმოების წესები ან საარბიტრაჟო დაწესებულება, რომლის წესების მიხედვითაც მხარეებს სურთ დავის განხილვა. არის შემთხვევები, როდესაც საერთოდ არ არის საარბიტრაჟო წესებზე მითითება, არამედ შეთანხმებულია მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვის ადგილი. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა არჩევანი კონკრეტულ საარბიტრაჟო წესებზე, ან არბიტრაჟის ადგილზე, მიიჩნევა მხარეთა ირიბ შეთანხმებად იმაზე, რომ შესაბამისი წესების, ან ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით მოაწესრიგონ ზემოთმითითებული საკითხები. არსებული ნაკლოვანებების შევსება სწორედ მხარეთა მიერ მითითებული წესების ან საარბიტრაჟო განხილვის ადგილის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მიხედვით ხდება<sup>107</sup>. ამ ეტაპის განხილვის შემდგომ შესაძლებელია საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟი გადაწყვეტს, რომ შეთანხმება აკმაყოფილებს ნამდვილობის წინაპირობებს და უნდა მოხდეს მისი აღსრულება. ამ საკითხების რეგულირება მოცემულია უმრავლეს ინსტიტუციონალურ (საარბიტრაჟო დაწესებულებების) თუ ad hoc საარბიტრაჟო წესებში. აღსრულებადობის დადგენისათვის ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს გასაზღვრულია თუ არა დავის განხილვის ადგილი, თუმცადა არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრას უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სამართლებრივი თვალსაზრისით. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განსაზღვრავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „ნაციონალობას“, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო არბიტრაჟის შემთხვევაში გადაწყვეტილების გაუქმებისას, მისი ცნობა-აღსრულებისას, გამოსაყენებელი სამართლის დადგენისას<sup>108</sup>. თუმცადა უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებაში საარბიტრაჟო განხილვის ადგილის

<sup>106</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 40. (გამოყენებული წყარო: სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Insignia Technology Co Ltd. v Alstom Technology Ltd., 3 SLR(R) 936 § 31).

<sup>107</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 41.

<sup>108</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 43.

გაუთვალისწინებლობა ავტომატურად არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას ან მისი აღსრულების შეუძლებლობას.

ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება ვერ მოხდება, თუ არ არის დაკმაყოფილებული II მუხლში წარმოდგენილი წერილობითი ფორმის მოთხოვნა. კონვენციის VII მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „წინამდებარე კონვენციის დებულება არ ართმევს არც ერთ დაინტერესებულ მხარეს უფლებას, გამოიყენოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ წესითა და იმ ფარგლებში, რაც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით, სადაც მოითხოვება ასეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება“. როგორც წესი აღნიშნული ჩანაწერი ეხება არბიტრაჟის მიერ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, იგი მიესადაგება საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების პირობებსაც. აღნიშნული მიდგომა არ წარმოადგენს უნივერსალურს, ამიტომაც არსებობს საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც არ მოხდა მითითებული ჩანაწერის გათვალისწინება, რაც განიმარტა იმით, რომ კონვენციის ეს მუხლი უბრალოდ წარმოადგენს წერილობით დადებული ხელშეკრულების მაგალითს. მიუხედავად აღნიშნულისა UNCITRAL-ის რეკომენდაციის თანახმად კონვენციის VII მუხლის პირველი პარაგრაფი გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება მიეცეს ისარგებლოს უფლებებით, რომლებიც მას შესაძლოა ჰქონდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობის ან საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, რომელშიც ხდება საარბიტრაჟო შეთანხმებაზე დაყრდნობა, რათა მოითხოვოს ამგვარი საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის ცნობა<sup>109</sup>.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შესაძლოა არსებობდეს ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება, მაგრამ მისი ფარგლები იყოს შეზღუდული. მაგალითად, მხარეებს შეიძლება გათვალისწინებული ჰქონდეთ, რომ არბიტრაჟს გადასცენ მხოლოდ სახელშეკრულებო ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებული დავა, ხოლო ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნები განიხილოს სასამართლომ. ან, მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ გარკვეულ ოდენობამდე დავები გადაეცეს სასამართლოს, ხოლო ზღვრული

---

<sup>109</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ.60.

ოდენობის მიღმა (მაგალითად, 5000 ლარს ზევით) დავა დაექვემდებაროს არბიტრაჟს<sup>110</sup>.

საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებისათვის ასევე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს გამოსაყენებელი სამართლის დადგენა, რომელიც შესაძლოა გათვალისწინებული იყოს საარბიტრაჟო შეთანხმებით, თუ ასეთი გარემოება არ იკვეთება არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს გამოსაყენებელი ნებისმიერი ის სამართალი ან სამართლის ის ნორმები, რომელთანაც საარბიტრაჟო დავას მისი არსიდან გამომდინარე, აქვს ყველაზე მჭიდრო კავშირი და არბიტრაჟი მიზანშეწონილად მიიჩნევს მის გამოყენებას. ზოგადად მხარეთა ხელშეკრულებაში/კონტრაქტში არსებული მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე გულისხმობს იმ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო ან კოლიზიურ ნორმებს<sup>111</sup>.

## **1. საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების ქართული საკანონმდებლო რეგულირება**

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი შემდეგნაირად ადგენს არბიტრაჟის მიერ განხილვადი სააქმეების ფარგლებს. “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. სამოქალაქო კოდექსის თანახმად პირთა თანასწორობაზე დამყარებულ ურთიერთობაში მოიაზრება კერძოსამართლებრივი ბუნების ურთიერთობა, როდესაც დაშვებულია ნების თავისუფალი გამოვლენისა და ურთიერთობის თავისუფლად დამყარებისა თუ კონტრაგენტის არჩევის შესაძლებლობა და არა „ერთი პირის ბრძანების ან მისი დიქტატის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა”.<sup>112</sup>

სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა ტოვებს ბუნდოვანებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა სტანდარტით შეიძლება გადაიხედოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მისი ცნობა-აღსრულების (ან გაუქმების მოთხოვნის) ეტაპზე,

---

<sup>110</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 37.

<sup>111</sup> საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი, 2017, გვ. 124.

<sup>112</sup> ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი (2015), ხელმისაწვდომია [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), მუხლი 1, § 8.

როგორ განიმარტება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ad hoc არბიტრაჟის აღიარების საკითხი), ან რა შემთხვევებში ჩაერევა სასამართლო არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენაში<sup>113</sup>.

სასამართლოებში შემოსულ საქმეთა უმეტესობა უკავშირდება საკითხებს უშუალოდ საარბიტრაჟო შეთანხმების ირგვლივ და არა მოთხოვნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე. საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ მოთხოვნისაგან განსხვავებით, შეიძლება წარედგინოს სასამართლოს არაპირდაპირი გზითაც. ასე მაგალითად, მხარემ შეიძლება მიმართოს ეროვნულ სასამართლოს არბიტრის დანიშვნის მოთხოვნით, როდესაც არბიტრის დანიშვნის თაობაზე მხარეებს შორის შეთანხმებული მექანიზმი აღარ მუშაობს ან ამგვარ მექანიზმზე მხარეები არ შეთანხმებულან<sup>114</sup>.

“არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონი განსაზღვრავს საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს, კერძოდ საარბიტრაჟო განხილვის წესის განსაზღვრას, აგრეთვე საარბიტრაჟო განხილვის ადგილი. 24-ე მუხლის თანახმად მხარეები განსაზღვრავენ დავის განხილვის წესს, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის განსაზღვრული მაშინ გამოყენება კანონის დანაწესები. იგივე პრინციპი გამოიყენება საარბიტრაჟო განხილვის ადგილთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს გამოსაყენებელი სამართლის დადგენა. რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა უშვებს საერთაშორისო ხელშეკრულების აღსრულების შესაძლებლობასაც, თუ საქართველოს არბიტრაჟი საერთაშორისო დავის განხილვისას გამოსაყენებელ სამართლად მიიჩნევს ინგლისის სამართალს, ეს ნიშნავს ინგლისის მატერიალური და არა საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენებას. ამ შემთხვევაში მაინც გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო მოთხოვნები.

---

<sup>113</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, თბილისი 2017, გვ.57

<sup>114</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ. xx.

კონვენციის თანახმად, როდესაც დღის წესრიგში დგას საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება პასუხი უნდა გაეცეს რამოდენიმე კითხვას, კერძოდ არის თუ არა სახელმწიფო, სადაც მიმდინარეობს საქმის წარმოება ნიუ-იორკის კონვენციის წევრი ქვეყანა; აქვს თუ არა სახელმწიფოს, სადაც მიმდინარეობს საქმისწარმოება, შიდანორმატიული აქტებით იმპლემენტირებული კონვენცია და აფერხებს თუ არა ამგვარი აქტები კონვენციის გამოყენებას; შეიძლება თუ არა კონვენციის გამოყენება საარბიტრაჟო წარმოების დამხმარე ხასიათის მოქმედებების მიმართ; ჯდება თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება კონვენციის შინაარსობრივ ფარგლებში; დაკმაყოფილებულია თუ არა პროცედურული ელემენტები; არის თუ არა მითითებული გამოსაყენებელი სამართალი და ა. შ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, არბიტრაჟის შესახებ კანონსა და სამოქალაქო კოდექსზე დაყრდნობით 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „მხარეები შეთანხმებული არ ყოფილან საარბიტრაჟო შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებით პირობაზე-დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია დავის განხილვის ორი საშუალება: არბიტრაჟი ან სასამართლო.<sup>115</sup>“ მსგავს მაგალთს წარმოადგენს დასავლეთ ვირჯინიის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილული საქმე საარბიტრაჟო შეთანხმების თაობაზე, რომელიც დადებული იყო მომხმარებელსა და გამსესხებელ ბროკერს შორის. ფორმულირება მდგომარეობდა შემდეგში „ნებისმიერი დავა [...] რაც არ იქნება მოგვარებული მედიაციის საშუალებით, რაც დაკავშირებულია გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის სესხის გაგრძელებასთან, მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების ნადმვილობა და განმარტება, ექსკლუზიურად განხილული უნდა იყოს არბიტრაჟის მიერ.“ თუმცა, ხელშეკრულების შემდეგ პუნქტში გათვალისწინებული იყო, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების მიუხედავად, გამსესხებელი უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსათვის. დასავლეთ ვირჯინიის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მსესხებელი მომხმარებელი იყო, ხოლო შეთანხმებას, თავისი პირობებით, სტანდარტული ხასიათი ჰქონდა და ითვალისწინებდა გამსესხებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვას და თავისი შინაარსით საზიანო იყო მსესხებლისათვის როგორც მატერიალურად, ისე პროცესუალურად; შესაბამისად, სასამართლომ არასამართლიანად და ბათილად ცნო შეთანხმება, რომელიც საბაზრო

<sup>115</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-804-858-201.

ძალაუფლების გამოყენებით, მხოლოდ გამსესხებლისათვის უპირატესი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას უშვებდა, ხოლო მსესხებლისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ზღუდავდა<sup>116</sup>. აღნიშნული წარმოადგენს ალტერნატიული დებულების მაგალითს და როგორც ნათლად ჩანს აღნიშნული შემთხვევიდან, ძირითად შემთხვევაში ვერ ხერხდება საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება, რამდენადაც მხარეთა ნება კონკრეტულად არ არის გამოხატული.

## 2. მხარეთა ვალდებულება აღსრულონ საარბიტრაჟო შეთანხმება

შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები იძენენ არბიტრაჟისათვის მიმართვის საპროცესო უფლებას. ამ უფლების შექმნის პარალელურად, ისინი აუცილებლად უნდა იბოჭებოდნენ კონკრეტული არბიტრაჟისათვის მიმართვის ვალდებულებით და ამავდროულად, კარგავდნენ დავის სხვა ორგანოს მიერ განხილვის ალტერნატივის შესაძლებლობას<sup>117</sup>. საარბიტრაჟო შეთანხმების მიმოხილვა დასრულებელი იქნება ნიუ-იორკის კონვენციის<sup>118</sup> გარეშე. კონვენცია ადგენს უნიფიცირებულ საერთაშორისო წესს. ამ კონკრეტულ ჭრილში კონვენციით გათვალისწინებულია საარბიტრაჟო შეთანხმების აუცილებლობის პირობებს, ამდენად, ყურადღების გამახვილების საჭიროება იკვეთება ამ მიმართულებითაც. ნიუ-იორკის კონვენციის მე-4 მუხლი განსაზღვრავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის დროს სასამართლოსათვის წარსადგენ დოკუმენტაციას. „მხარე, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს: ა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი; ბ) საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რამდენადაც საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის გარეშე ვერ განხორციელდება საარბიტრაჟო განხილვა და ამდენად შეუძლებელი იქნება გადაწყვეტილების მიღება. აღსანიშნავია ის

---

<sup>116</sup>გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 37.(გამოყენებული წყარო: დასავლეთ ვირჯინიის სააკადემიო სასამართლოს 1998 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Arnold v United Companies Lending Corp., 511 S.E.2d 854).

<sup>117</sup> საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები, მართლმსაჯულება და კანონი N 4 (52)'16 დ. ათაბეგაშვილი გვ. 70

<sup>118</sup> ნიუ-იორკის 1958 წლის 31 დეკემბრის კონვენცია "უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ".

გარემოება, რომ მსგავს შინაარს შეიცავს ასევე “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

დავის წარმოშობამდე საარბიტრაჟო შეთანხმების დადება უფრო პრაქტიკულია. მხარეებს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამოვლენის შემდეგ ასეთი შეთანხმების დადება რთულდება. ცხადია, მოდავე მხარეებს უჭირთ დავის საგნის მიმართ გამოსაყენებელ სამართალზე, საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე, ენაზე, არბიტრთა რაოდენობაზე და სხვა მნიშვნელოვან პროცედურულ საკითხებზე შეთანხმება<sup>119</sup>. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მას შემდეგ, რაც მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟისათვის მიმართვის აუცილებლობის გამოკვეთის შემთხვევაში, მხარემ თხოვნით უნდა მიმართოს არბიტრაჟს, მითითებულთან დაკავშირებით. თავის მხრივ იკვეთება მეორე მხარის ვალდებულება შესაგებლით უპასუხოს მას. შვეიცარული საარბიტრაჟო რეგლამენტის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია არბიტრაჟის შესახებ თხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში წარადგინოს თავისი შესაგებელი<sup>120</sup>.

შეთანხმების მხარეთა მიერ დავის განხილვისთვის არბიტის არჩევა საკუთარი შეხედულებისამებრ წარმოადგენს ერთ-ერთ ნათელ მაგალითს შეთანხმების თავისუფლების პრინციპის გამოვლენას, რაც დამახასიათებელია დოქტრინისათვის და ევროპის უმრავლესი ქვეყნებისათვის<sup>121</sup>. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფორმებულ მხარეთა შეთანხმებას, დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე, აქვს იურიდიული ძალა, რომელიც ავალდებულებს შეთანხმების მხარეებს, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟოშეთანხმების საგანია<sup>122</sup>. მსხვილ საერთაშორისო არბიტრაჟებში მოქმედებს დავების გადაჭრის პროცესის განსაზღვრული კონკრეტული ეტაპები. უპირველეს ყოვლისა, მოსარჩელემ უნდა წარადგინოს შეტყობინება არბიტრაჟის შესახებ, რომელზედაც უნდა უპასუხოს

---

<sup>119</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 101 (ციტირებულია წყაროდან: Berger, Bernhard Kellerhals, Franz Internationale und interne Schiedsgerichtbarkeit in der Schweiz Stämpfli Verlag AG, Bern, 2006, s. 94)

<sup>120</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 101.

<sup>121</sup> АРБИТРАЖНОЕ СОГЛАШЕНИЕ И ИЗМЕНЕНИЕ СУБЪЕКТНОГО СОСТАВА ОБЯЗАТЕЛЬСТВА. А.А. Кот. МЕЖДУНАРОДНЫЙ КОММЕРЧЕСКИЙ АРБИТРАЖ: ВЫЗОВЫ СОВРЕМЕННОСТИ Сборник статей и докладов. Киев – 2017. с 108.

<sup>122</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #ას-148-140-2017

მოპასუხემ. შეტყობინება და პასუხი, გამომდინარე შესაბამისი წესებიდან, შეიძლება შეიცავდნენ დეტალურ განმარტებებს. ზოგჯერ შეტყობინება შეიძლება იყოს მოკლე, ხოლო წერილობითი დოკუმენტაცია და განმარტებები მოგვიანებით იქნება წარდგენილი. შემდგომი ეტაპია არბიტრების დანიშვნა, რაც, ძირითადად, მხარესთან არსებული შეთანხმების შესაბამისად ხდება, ან იმ წესების თანახმად, რომელზედაც მხარეები შეთანხმდნენ. როგორც წესი, ამას მოჰყვება საორგანიზაციო შეხვედრა, რომელზეც განიხილება არბიტრაჟის ჩატარების კონკრეტული დეტალები. შემდგომ წარმოებს წერილობითი დოკუმენტაციის წარდგენა და საქმის მოსმენამდე დაიწყება დეტალების გამჟღავნება, რაც მოიცავს დოკუმენტური მტკიცებულებების გაცვლას და წერილობით განცხადებებს, ყოველივე ეს ხდება ზეპირი მოსმენების მოსამზადებელ პერიოდში<sup>123</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად ნებისმიერ მხარეს ენიჭება უფლება, დავა განსახილველად გადასცეს არბიტრაჟს, ნიშნავს, რომ ეს საარბიტრაჟო დათქმა წარმოშობს უფლებას, რომელიც ნებას აძლევს ნებისმიერ მხარეს, აღძრას საარბიტრაჟო წარმოება მაგრამ, თუ რომელიმე მხარე გამოიყენებს ამ უფლებას, მაშინ ორივე მხარე ვალდებულია, მხარი დაუჭიროს დავის გადაცემას და დაემორჩილოს არბიტრაჟის გადაწყვეტილებას<sup>124</sup>. მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ დაწესებულ ვადაში მოსარჩელემ საარბიტრაჟო სარჩელი უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით. მასში მითითებული უნდა იყოს მხარეთა სახელები (სახელწოდებები), მისამართები, მოთხოვნა, გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ამ მოთხოვნას ადასტურებენ. მოპასუხემ, თავის მხრივ, უნდა წარმოადგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელზე. მოპასუხის მიერ შესაგებელის წარმოუდგენლობა არ დააბრკოლებს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებას, უბრალოდ შეპასუხების (შესაგებელის) წარმოუდგენლობით ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე. მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ ნებისმიერი საბუთი, რომელიც უკავშირდება საქმეს, ან მიუთითონ იმ საბუთებსა და სხვა მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი შემდგომ წარმოადგენენ. თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები ან შესაგებელი, ან წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები, თუ ეს არბიტრაჟმა არ მიიჩნია განხილვის

<sup>123</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, ნ ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 103.

<sup>124</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #ას-148-140-2017



გაჭიანურებად. თუ ერთ-ერთი მხარე თავს არიდებს საარბიტრაჟო სხდომაზე გამოცხადებას, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს საქმე ამ მხარის დაუსწრებლად. მოდელური კანონის მიხედვით, თუ მოსარჩელე არ გამოცხადდება ან გაუშვებს სარჩელის შეტანის ვადას, არბიტრაჟი უფლებამოსილია დაასრულოს პროცესი. ეს შედეგი არ დადგება, თუ გამოუცხადებლობა არასაკატიოდ არ ჩაითვლება, ან თუ მხარეები შეთანხმებაში სხვა რამეს გაითვალისწინებენ.<sup>125</sup>

“არბიტრაჟის შესახებ” კანონის 26-ე მუხლით განისაზღვრა საარბიტრაჟო დავის განხილვის დაწყების წესი. მითითებული მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო დავის დაწყება არ ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენას. შესაძლებელია პრეტენდენტმა მხარემ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სამდივნოს ან თავად მოწინააღმდეგე მხარეს წარუდგინოს განაცხადი/შეტყობინება საარბიტრაჟო დავის დაწყების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში, საარბიტრაჟო დავის წამომწყებმა მხარემ (საარბიტრაჟო მოსარჩელე) არბიტრაჟს წერილობითი ფორმით უნდა წარუდგინოს საარბიტრაჟო სარჩელი<sup>126</sup>. თუ მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში საარბიტრაჟო მოსარჩელე არ წარადგენს საარბიტრაჟო სარჩელს, ბუნებრივია, რომ საარბიტრაჟო განხილვა არ შედგება და დაწყებული წარმოება შეწყდება. სინგაპურის საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო რეგლამენტის მე-17 მუხლი, დიდი ბრიტანეთის არბიტრთა სამეფო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წარმოების წესების მე-19 მუხლი და ა.შ. საარბიტრაჟო სარჩელში უნდა აღინიშნოს: მოსარჩელის, სხვა მხარეებისა და მათი წარმომადგენლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრული სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ა.შ.), დავის არსი და ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლიდანაც გამომდინარეობს მოთხოვნა, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნ(ები), მისი მიახლოებითი ფულადი ღირებულება, მითითება საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა და პირობების შესახებ, რამდენიმე საარბიტრაჟო მოთხოვნის შემთხვევაში, მითითება, თუ რომელი საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარეობს თითოეული მოთხოვნა,

<sup>125</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, ნ ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 100.

<sup>126</sup> საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი, 2017, გვ. 109.

დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ერთვის საარბიტრაჟო სარჩელს<sup>127</sup>. კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ საარბიტრაჟო სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს ამ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, კერძოდ წერილობითი ფორმით და ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობისას საარბიტრაჟო განხილვა თავისთავად არ დაიწყება. თავის მხრივ მოპასუხეს გააჩნია უფლებამოსილება წარადგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებთან დაკავშირებით. საინტერესო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ კანონი არ განსაზღვრავს შესაგებლის წარდგენის ვადას. ასეთი ვადა შეუძლიათ განსაზღვრონ თავად მხარეებმა. ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟი სარგებლობს საკუთარი დებულებით. შესაძლებელია მხარემ არ წარადგინოს შესაგებელი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით საარბიტრაჟო შესაგებლის წარუდგენლობა არ ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის ცნობას და არ წარმოადგენს მოპასუხის საწინააღმდეგო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს. მეორეს მხრივ გზამკვლევაში რაიონული სასამართლოს მოსამართლესათვის აღნიშნულია, რომ დავის არბიტრაჟისათვის გადასაცემად აუცილებელია, რომ მოპასუხე მხარემ მისთვის დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადება, რომელშიც მიუთითებს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობაზე. ეს მიდგომა (რომ მხარეების მიმართვა არბიტრაჟში მომხდარიყო არა სასამართლოს ინიციატივით, არამედ მხოლოდ მხარის განცხადების საფუძველზე) ამყარებს მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს, რომლითაც ერთნაირად არის დაცული მხარეთა უფლება, დაუქვემდებარონ თავიანთი დავა არბიტრაჟს, ისევე როგორც მათი ერთობლივი ნება, შეცვალონ/უარყონ (პირდაპირ ან არაპირდაპირ) მათი გადაწყვეტილება არბიტრაჟისადმი დავის დაქვემდებარებაზე.

გამოსაყენებელი (მატერიალური) სამართლის არჩევა დასაშვებად უნდა ჩაითვალოს როგორც საარბიტრაჟო შეთანხმებით, ასევე ამ შეთანხმების გაფორმების შემდეგ დადებული ცალკე შეთანხმებით (გარიგებით). პირველ შემთხვევაში შეთანხმების ნამდვილობის საკითხი გადაწყდება საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლით<sup>128</sup>. მნიშვნელოვანია, რომ არბიტრების დანიშვნის პროცესში ჩართული იყვნენ თავად მხარეებიც, ამით მხარეებს წინასწარ მიეცემათ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი პოზიცია არბიტრობის კანდიდატების მიმართ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი

<sup>127</sup> საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი, 2017, გვ. 110.

<sup>128</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 105.

და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებენ მხარეთა ჩართულობის რაიმე კონკრეტულ პროცედურას. მხარეთა პოზიციები არბიტრობის კანდიდატების მიმართ შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად<sup>129</sup>.

მას შემდეგ რაც მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს და დაიწყება საარბიტრაჟო განხილვა, მხარეებს წარმოეშვებათ ვალდებულება უზრუნველყონ არბიტრაჟი და მეორე მხარე ყველა სათანადო დოკუმენტით, რომელსაც ისინი ეყრდნობიან თავიანთი პოზიციის გასამყარებლად. გარდა ამისა, არბიტრებს საზოგადოდ აქვთ ჩამონათვალი, რომელიც შედგენილია მათი შეხედულებისამებრ და რომლის საფუძველზეც მხარემ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები<sup>130</sup>. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციამ 1999 წლის 1 ივნისს დაამტკიცა მტკიცებულებათა მიღების უნიფიცირებული წესები საარბიტრაჟო განხილვისათვის. მართალია, წესები არასამათავრობო ორგანიზაციის მიერ არის შემუშავებული, მაგრამ მას მაინც დიდი გავლენა აქვს საარბიტრაჟო განხილვის დროს მტკიცებულებათა მიღებისა და გამოკვლევის პროცედურაზე<sup>131</sup>.

### **3. არბიტრაჟის ვალდებულება აღსრულოს საარბიტრაჟო შეთანხმება**

არბიტრაჟის ერთ-ერთ ძირითად რგოლს წარმოადგენს თავად არბიტრები და ამდენად ისინი საარბიტრაჟო განხილვის უმნიშვნელოვანეს მონაწილეებადაც შესაძლოა ჩაითვალოს, რაც ლოგიკურია, რადგან არბიტრის გარეშე შეუძლებელია საარბიტრაჟო განხილვის წარმოება, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება და შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი<sup>132</sup>. არბიტრების შერჩევა დავის ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც საწყის ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს მხარემ. არჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს არბიტრების გამოცდილებას და ცოდნას, რასაც დიდი ზეგავლენა ექნება

<sup>129</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 81.

<sup>130</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, ნ ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 109.

<sup>131</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 105 (გამოყენებული წყარო: Knoblach, Steffen *Sachverhaltsermittlung in der internationalen Wirtschaftsschiedsgerichtsbarkeit* Duncker und Humboldt Berlin 2003 s 358-365).

<sup>132</sup> *Международный коммерческий арбитраж*. В. В. Комаров В. Н. Погорецкий Харьков. «Право» 2009. С 74.

პროცესის ხარისხზე და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრები არსებითად უფრო მეტი ძალაუფლების მქონენი არიან, ვიდრე მოსამართლეები, რადგან, მოსამართლეებისაგან განსხვავებით, მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლებელია შინაარსის ან კანონის ინტერპრეტაციის გამო. არბიტრმა შეიძლება მოახდინოს კანონის არასწორი ინტერპრეტაცია ან დაუშვას ამკარა შეცდომა საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, მაგრამ მხარეს აღარ შეეძლება გააუქმოს გადაწყვეტილება, რომელიც შეცდომით არის გამოტანილი. ამიტომ ეს აიძულებს მხარეებს დიდი სიფრთხილით მოეკიდონ და დაგეგმონ გადაწყვეტილების მიმღები პირების არბიტრების შერჩევა<sup>133</sup>. აუცილებელი აღინიშნოს, რომ არბიტრაჟის უფლებამოსილება გამომდინარეობს მხარეთა შეთანხმებიდან.

საარბიტრაჟო განხილვის პროცესის ერთ-ერთ მინშვნელოვან დეტალს წარმოადგენს არბიტრაჟის კომპეტენციის დადგენა და საშიროების შეთხვევაში მისი აცილება. საერთაშორისო სივრცეში და უკვე საქართველოშიც, დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ არბიტრები დანიშნვის მიღებამდე/თანხმობამდე, ან მასთან ერთად, წარუდგენენ მხარეებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დეკლარაციას, სადაც მიუთითებენ ისეთი გარემოებების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მხარეების თვალში წარმოიშვას ეჭვი არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე. აღნიშნულია გათვალისწინებულია “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონით. შესაძლებელია არბიტრის აცილება გათვალისწინებული იყოს მხარეთა შეთანხმებით, აღნიშნულს ნაკლებად აქვს ადგილი დღევანდელ რეალობაში, ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟი დავად წყვეტს მითითებულ საკითხს. როდესაც არბიტრი შერჩეულ იქნება, იგი ვალდებულია დავა განიხილოს დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად, რაც გათვალისწინებულია საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ მიღებული ეთიკის კოდექსითაც.

როდესაც ვსაუბრობთ არბიტრაჟის ვალდებულებაზე აღასრულოს საარბიტრაჟო შეთანხმება, აუცილებელია განხილულ იქნას არბიტრაჟუნარიონობის საკითხი. საქართველოში არბიტრაჟის შესახებ კანონი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ჩამოთვლის, თუ რა დავების განხილვა არ შეიძლება არბიტრაჟის მიერ, თუმცა ასეთი აკრძალვების ამოკითხვა შეიძლება სხვა კანონებში. მაგალითად,

---

<sup>133</sup> ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, ნ ფიცხელაური, თბილისი 2015, გვ 84.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად, „საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში.“ ეს დებულება პირდაპირ გამორიცხავს არბიტრაჟის განსჯადობას საგადასახადო დავებზე, რადგან ადგენს დავის განმხილველ კომპეტენტურ სხვა ორგანოებს, რაც ამ დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის შესაძლებლობას გამორიცხავს.<sup>134</sup>

საარბიტრაჟო შეთანხმებით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს არბიტრაჟის შემადგენლობა, კერძოდ დავა განხილული იქნება ერთი თუ მე არბიტრის მიერ. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო თუ მხარეები შეთანხმებულები არიან მათი დავის კონკრეტული მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მიხედვით განხილვაზე, მაშინ გადაწყვეტილების გამოტანა სწორედ მითითებული არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით იქნება განხორციელებული.<sup>135</sup> მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, “დავების განმხილველი ცენტრის” დებულების 34-ე მუხლის 34.1 პუნქტის შესაბამისად ტრიბუნალის წევრების ხმათა უმრავლესობის არარსებობისას, გადამწყვეტია ტრიბუნალის თავმჯდომარის ხმა. იშვიათად, მაგრამ შესაძლებელია, რომ 3 წევრისაგან შემდგარი ტრიბუნალის სამივე წევრს განსხვავებული პოზიცია გააჩნდეს და ტრიბუნალის თავმჯდომარის აზრი არ ემთხვევოდეს არც ერთი წევრის აზრს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ხმათა უმრავლესობა ვერ იქნება მიღწეული, ამდენად, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, გადამწყვეტია ის პოზიცია, რომელიც ტრიბუნალის თავმჯდომარეს გააჩნია<sup>136</sup>. ასევე შესაძლებელია, რომ ტრიბუნალმა თავი შეიკავის ხმის მიცემისაგან, აღნიშნული საკითხი კი სცილდება მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებს და ექვემდებარება უშუალოდ არბიტრაჟს.

არბიტრაჟის შესახებ კანონის მიხედვით, დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. კანონის მე-11 მუხლის თანახმად, არბიტრობაზე თანხმობა პირმა უნდა განაცხადოს წერილობით. შესაბამისად,

<sup>134</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 23.

<sup>135</sup> საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი, გვ.125.

<sup>136</sup> საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი, გვ.126.

ვიდრე რომელიმე პირის კანდიდატურა წარედგინებათ მხარეებს, აუცილებელია სასამართლო (ან მხარე) დაეკონტაქტოს თითოეულ კანდიდატს და მოიპოვოს მათი წინასწარი თანხმობა არბიტრაჟის წევრობაზე. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც არბიტრობის კანდიდატები შეირჩევა რომელიმე საარბიტრაჟო დაწესებულების სიიდან. ყოველი საქმე მოითხოვს არბიტრის მიერ პირად შეფასებას, არსებობს თუ არა ისეთი გარემოებები, რაც მას არ მისცემს საქმის დროულად, ობიექტურად განხილვის შესაძლებლობას. შესაბამისად, არბიტრმა კონკრეტული საქმის მიმართ ინდივიდუალურად უნდა განაცხადოს თანხმობა ან უარი. შესაბამისად, აუცილებელია არბიტრის დანიშვნამდე არბიტრობაზე პირის თანხმობის მოპოვება<sup>137</sup>. “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას”. მე-6 პუნქტის თანახმად კი “მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში არბიტრაჟი საკუთარი კომპეტენციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე ან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან ერთად”. აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ ძირეულ პრინციპს, რაც დაკავშირებულია საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებასთან.

არბიტრებმა უნდა გამოიყენონ შესაბამისი სახელმწიფოს იმპერატიული ნორმები მხარეთა შეთანხმების მიუხედავად, თუ მხარეთა შეთანხმება გამოსაყენებელი სამართლის შესახებ გამიზნული იყო ზემოაღნიშნული იმპერატიული ნორმების გამოყენების თავიდან ასაცილებლად. არბიტრაჟმა ასევე უნდა მიიღოს მხედველობაში იმ ადგილის იმპერატიული ნორმები, სადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისად მხარემ უნდა განახორციელოს შესრულება. აღნიშნულ მიდგომას იზიარებს საქართველოც. არბიტრის მიერ უნდა მოხდეს იმპერატიული ნორმების გამოყენება, მიუხედავად იმისა, თუ რაზე შეთანხმდნენ მხარეები. აღნიშნულ პროცესში მეტწილად დიდი როლი მიუძღვის მხარეების მიერ მითითებულ გამოსაყენებელ სამართალს. მხარეთა მიერ არჩეული

---

<sup>137</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 80.

სამართლის გამოყენება სავალდებულოა არბიტრებისათვის, თუმცა, ფრანგული დოქტრინა და პრაქტიკა აძლევს არბიტრებს უფლებას განმარტების გზით გადაუხვიონ მხარეთა მიერ არჩეული სამართლის იმპერატიულ ნორმებს.<sup>138</sup>

მოდელური კანონის მსგავსად, არბიტრაჟის შესახებ კანონი ადგენს, რომ „არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საკუთარი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით“. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი თავადაა უფლებამოსილი, დაადგინოს თავისი კომპეტენცია, შეაფასოს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა, ბათილობა თუ ძალადაკარგულობა. *prima facie* სტანდარტი, მას პირველ რიგში აძლევს ამის საშუალებას.<sup>139</sup>

აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით მხარეები ამით კონკრეტულ არბიტრაჟს აღჭურვავენ საქმის განხილვისა და აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილებით. კონვენციის თანახმად „competence-competence“-ის პრინციპი (არბიტრაჟის კომპეტენციის პრინციპი, რომელსაც ასევე *Kompetenz-Kompetenz* უწოდებენ) უფლებას აძლევს არბიტრებს განიხილონ ნებისმიერ დავა მათ იურისდიქციასთან დაკავშირებით და ამავე დროს მიიღონ გადაწყვეტილება იურისდიქციის არქონის თაობაზე<sup>140</sup>. ამ უფლებამოსილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს არბიტრების მიერ მათი ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებისათვის. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის სადავობისას საქმის სასამართლოებისთვის გადაცემა მნიშვნელოვნად შეაფერხებდა საარბიტრაჟო წარმოებას. კონვენცია ცალსახად არ მოითხოვს „competence-competence“-ის პრინციპის გამოყენებას. თუმცა არც ნეიტრალურ პოზიციას იკავებს ამ საკითხთან დაკავშირებით.<sup>141</sup> არბიტრაჟის კომპეტენციის პრინციპს სასამართლოები, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, განმარტავენ კონვენციის აღსრულების მხარდამჭერი განწყობის გათვალისწინებით. შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭა საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციის დადგენას თავად ტრიბუნალის მიერ და სასამართლოების მიერ, სავარაუდოდ, გაბათილებული, ძალადაკარგული ან შესასრულებლად შეუძლებელი საარბიტრაჟო შეთანხმების განხილვა მხოლოდ

<sup>138</sup> საერთაშორისო სამართალი, გ. ცერცვაძე, გვ 107.

<sup>139</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 11.

<sup>140</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ. 53.

<sup>141</sup> იქვე.

ზედაპირულად (ან *prima facie*) ხორციელდებოდა დავის საწყის ეტაპზე. ამ სასამართლოებმა დაადგინეს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებას არ აქვს იურიდიული ძალა მხოლოდ კონკრეტულად დადგენილ შემთხვევებში.<sup>142</sup> კონვენციის თანახმად „competence-competence“-ის პრინციპთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საარბიტრაჟო დათქმის ძირითადი ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლობის პრინციპი (ასევე ცნობილი, როგორც „დამოუკიდებლობა“ ან „საარბიტრაჟო დათქმის ავტონომიურობა“). აღნიშნული პრინციპი უპირველესად გულისხმობს, რომ ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობა ზოგადად არ ახდენს გავლენას მასში მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობაზე; და, მეორე, ძირითადი ხელშეკრულება და საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დარეგულირდეს სხვადასხვა სამართლით.<sup>143</sup> მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ წარმოდგენილი პოზიცია სასურველია კონვენციის მიზნიდან გამომდინარე, კონვენციაში არ არსებობს პირდაპირი ჩანაწერი, რომლითაც სასამართლოებს ეკრძალებათ დავის საწყის ეტაპზე საარბიტრაჟო შეთანხმების სრული განხილვა და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების მიღება შეთანხმების ნამდვილობასთან დაკავშირებით.<sup>144</sup>

საქართველოს კანონმდებლობით თანახმად არბიტრაჟის კომპეტენციის წყაროს წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმება. არბიტრაჟის კომპეტენცია მოიცავს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული დავის განხილვას (მხოლოდ შეთანხმებით განსაზღვრულ ფარგლებში), მაგრამ არბიტრაჟის კომპეტენცია მარტოდენ მხარეთა შეთანხმებით არ შემოიფარგლება. კანონის იმპერატიული დანაწესის თანახმად, “არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის” (კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი). შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების არსებობის გარდა, სახეზე უნდა იყოს არბიტრაჟის იურისდიქცია. ამდენად, შესაძლებელია არსებობდეს მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ განხილვის შესახებ, მაგრამ არბიტრაჟს არ გააჩნდეს მხარეთა შეთანხმებაში მითითებული დავის განხილვის კომპეტენცია.<sup>145</sup>

<sup>142</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ. 53.

<sup>143</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ. 55.

<sup>144</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ. 55.

<sup>145</sup> საქართველოს კანონი “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი, გვ.72



მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების ნადვილობის ყველა წინაპირობა დაკმაყოფილებულია, იწყება საარბიტრაჟო განხილვა. არბიტრების არცევისა და მათი შემდგომი კომპეტენციის დადგენა უზრუნველყოფს უშუალოდ საარბიტრაჟო განხილვის პროცესის წარმართვას, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულებას.

#### **4. საარბიტრაჟო შეთანხმება - სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი**

საარბიტრაჟო შეთანხმების ნადვილობის დადგენის შემდგომ საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შემდგომ თავს იჩენს გარკვეული გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა შეუძლებელი გახადონ საარბიტრაჟო განხილვის შემდგომ გაგრძელება, ან სულაც ვერ მოხდეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყება, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულების შეუძლებლობასთან. საარბიტრაჟო შეთანხმების შესრულების შეუძლებლობა მოიცავს შემთხვევას, როდესაც არსებობს წინაღობა, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია, რაც გამორიცხავს საარბიტრაჟო პროცესის დაწყებას<sup>146</sup>. საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება შესაძლოა შეუძლებელი გახდეს, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები შეთანხმებული არიან კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე, ხოლო ასეთი დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა ისე, რომ არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მხარეები კი ვერ შეძლებენ შეთანხმებას დავის განმხილველ ახალ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე, მაგალითად იმ შემთხვევაში თუ არბიტრი საარბიტრაჟო პროცესის დაწყებისას ვერ ან არ დათანხმდება არბიტრობას (მაგალითად, უარს ამბობს არბიტრობაზე; გარდაცვლილია; ვედარ ასრულებს არბიტრის უფლებამოსილებას ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, ან საარბიტრაჟო დაწესებულება უარს ამბობს არბიტრის დანიშვნაზე).<sup>147</sup> თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან შემცვლელ არბიტრაჟზე, საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება შეუძლებელი გახდება. მსგავსი შედეგი შესაძლოა დადგეს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავის განხილვას ადმინისტრირება გაუწიოს ერთმა საარბიტრაჟო ინსტიტუტმა სხვა საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესების მიხედვით. იმ

<sup>146</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 37.(გამოყენებული წყარო: სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Dyna-Jet Pte Ltd. v Wilson Taylor Asia Pacific Pte Ltd., 3 SLR 267).

<sup>147</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეთათვის UNDP Georgia (2017). გვ. 57.(გამოყენებული წყარო:სინგაპურის უმაღლესი სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Sembawang Engineers and Constructors Pte Ltd. v Covec Pte Ltd., High Court of Singapore, SGHC 229, § 42).

შემთხვევაში თუ განსახილველი არბიტრაჟის რეგლამენტი არ უშვებს სხვა არბიტრაჟის წესების გამოყენება, ამ შემთხვევაშიც შეუძლებელი გახდება საარბიტრაჟო შეთანხმების არსრულება.

კონვენცია განმარტავს ისეთ ცნებას როგორცაა საარბიტრაჟო შეთანხმების ძალადაკარგულად ცნობა. ძალადაკარგული საარბიტრაჟო შეთანხმება არის საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც გარკვეული დროის პერიოდში იყო ნამდვილი, მაგრამ შემდგომ დაკარგა სამართლებრივი ძალა. „ძალადაკარგულობის“ გამონაკლისი ზოგადად მოიცავს უფლებაზე უარის თქმას, გამოთხოვას, მოშლას ან საარბიტრაჟო შეთანხმების შეწყვეტას. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმება ჩაითვლება ძალადაკარგულად, თუ იგივე დავა იმავე მხარეებს შორის უკვე გადაწყვეტილია სასამართლოს ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ (*res judicata* ან *ne bis in idem*).<sup>148</sup> საერთაშორისო პრაქტიკა იცობს ისეთ გარემოებას, როგორცაა საარბიტრაჟო შეთანხმების ძალადაკარგულად ცნობა. ეს მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საარბიტრაჟო წარმოება ვერ გაგრძელდება ფაქტობრივი ან სამართლებრივი დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის გამო.

ზოგადად, UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიღებს დადგენილებას საარბიტრაჟო პროცესის შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში: 1. თუ მოსარჩელე უარს აცხადებს სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოპასუხე ამის წინააღმდეგია და საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის საბოლოო გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი; 2. თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე; 3. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა.<sup>149</sup>

საარბიტრაჟო შეთანხმების ძირითადი პირობების განხილვასთან ერთად აუცილებელია მიეთითოს მისი ძალაში მოყვანის მოთხოვნები. უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, განიხილოს სარჩელი იმ დავაზე,

<sup>148</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ. 70.

<sup>149</sup> ICCA-ს სახელმძღვანელო ნიუ-იორკის კონვენციაზე. გვ. 199.

რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ხოლო, თუ რომელიმე მხარე მაინც მიმართავს სასამართლოს სარჩელით, მაშინ სასამართლო ვალდებულია, შეწყვიტოს წარმოება. სასამართლოს ეს ვალდებულება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272<sup>1</sup> მუხლიდან “თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად არბიტრაჟს გადაეცეს, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე. აღნიშნული განცხადება შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს” ასევე, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლიდან “სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟოს შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.”<sup>150</sup>

გასათვალისწინებელია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მხარემ წარადგინა განცხადება საქმის არბიტრაჟისთვის გადაცემის მოთხოვნით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, მიიჩნია რა, რომ საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ICC-ს მოდელური საარბიტრაჟო დათქმის სახით იყო ჩამოყალიბებული, არ იყო ნამდვილი<sup>151</sup>. ბათუმის საქალაქო სასამართლომ საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც მიუთითებდა საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე (და არა დაწესებულებაზე, როგორც ასეთი), მიიჩნია არასაკმარისად ნათლად იმისათვის, რომ დადგენილიყო რომელი კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება ჰქონდათ მხარეებს არჩეული.<sup>152</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ „მხარეები შეთანხმდნენ რა საარბიტრაჟო განხილვის წესებსა და რეგულაციებზე ისინი შეთანხმდნენ დავის არბიტრაჟის განხილვაზე და გაცნობიერებული ჰქონდათ სასამართლო სამართალწარმოებაზე უარის შედეგები.“ დათქმა, რომელიც მიუთითებდა

<sup>150</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #ას-148-140-2017

<sup>151</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, თბილისი 2017, გვ.31 (გამოყენებულია წყარო: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება 2-1043/15).

<sup>152</sup> არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, თბილისი 2017, გვ.31

შესაბამისი საარბიტრაჟო დაწესებულების წესებზე, ორივე სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ნებად მიიჩნია და მათი დავის გადაწყვეტა შესაბამისი ინსტიტუტის ადმინისტრირებას დაექვემდებარა.<sup>153</sup>

## V. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში მოხდა საარბიტრაჟო შეთანხმების ცნების, მისი ნადვილობა და აღსრულებადობის განხილვა როგორც საქართველოს კანონმდებლობის ასევე საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე. ნაშრომში ნათლად იკვეთება გარკვეული მსგავსებები ქართულ სამართალსა და საერთაშორისოდ აღიარებულ რეგულაციებს შორის საარბიტრაჟო შეთანხმებასთან მიმართებით, იქნება ეს კონვენციისა თუ UNCITRAL-ის მიერ მიღებულ მოდელ კანონს შორის. საქართველოს საკანონმდებლო სისტემამ არბიტრაჟის შესახებ განიცადა ცვლილებები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრისა და არბიტრაჟისადმი ნდობის მოპოვების მიზნით, რაც თავისთავად დადებითად აისახა დღეს არსებულ პრაქტიკაზე. აღნიშნული რაღა თქმა უნდა არ გულისხმობს, რომ არბიტრაჟის შესახებ ქართული კანონმდებლობა სრულყოფილია და მოიცავს ყოველ ასპექტს, რასთანაც შეხება აქვთ როგორც მხარეებს, ასევე არბიტრაჟს, როგორც ინსტიტუტს.

შესაძლოა თამამად ითქვას, რომ აღიარებულია დღეის მდგომარეობით აღირებულია საარბიტრაჟო შეთანხმების საპროცესო სამართლებრივი ბუნება, რაც წინაპირობას წარმოადგენს შემდგომ განსახიერციელებელი ცვლილებებისა. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ქართული სამართალი არბიტრაჟთან მიმართებით არ არის სრულყოფილი, კერძოდ არ არის მოწერიებული ad hoc პრინციპის რეგულაცია, რაც აუცილებლად უნდა გამოსწერდეს, რათა მხარეებს მაქსიმალურად მიეცეთ შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი ინტერესები და მოახდინონ უფლებამოსილება განხორციელება. არბიტრების მიერ გამოცდილების დაგროვებამ გამოიწვია საარბიტრაჟო პრაქტიკის დახვეწა. დღეს არსებული სასამართლო პრაქტიკით საფრთხე ემუქრება ad hoc არბიტრაჟის ცნობას საქართველოში. ეს გარკვეულწილად შეიძლება საკანონმდებლო ხარვეზის გამო იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ის შეიძლება გამოსწორდეს

---

<sup>153</sup> იქვე.

როგორც შეცვლილი სასამართლო პრაქტიკით, ისე საკანონმდებლო ცვლილების გზით.

ქართული კანონმდებლობა ისწრაფვის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების იმპლემენტაციისათვის, რათა მოხდეს მათი შემდგომი გამოყენება პრაქტიკაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკა არაერთგვაროვანია სხვადასხვა საკანონმდებლო სისტემათან მიმართებით, და რაღა თქმა უნდა ყოველი დეტალი არ არის მოწესრიგებული. დღეს არსებული მდგომარეობით იკვეთება, რომ სასამართლოები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ საარბიტრაჟო წარმოებას.

ქართული სამართლის მთავარი მიზანია მოხდეს მხარეთა ნების ნათლად გამოვლენა, რათა შესაძლებელი გახდეს საარბიტრაჟო შეთანხმების შემდგომი აღსრულება. საარბიტრაჟო შეთანხმების მხოლოდ წერილობითი ფორმით დადება არ აკმაყოფილებს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობას. იმ შემთხვევაში კი თუ მოხდება საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის დადგენა *prima facie*-ს პრინციპის თანახმად, ეს არ უზრუნველყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების შემდგომ აღსრულებას. მითითებული მიზნის მისაღწევად აუცილებელია მოხდეს კანონმდებლობის დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რის შედეგადაც მოხდება მხარეთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის ხელშეწყობა.

## ბიბლიოგრაფია

- ავტორთა კოლექტივი საქართველოს კანონის “არბიტრაჟის შესახებ” კომენტარი, თბილისი 2017.
- ათაბეგაშვილი დ. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის კრიტერიუმები. *მართლმსაჯულება და კანონი* #4(52)'16. (ხელმისაწვდომია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში).
- ანდლულაძე ქ. საარბიტრაჟო შეთანხმების შენაარსის ნამდვილობა. (შედარებით სამართლებრივი ანალიზი გაეროს მოდელურ კანონთან). თბილისი 2013
- ბინდერი მ. პიტერ “ჯიპლაკის საქმიანობა”, “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის კომენტარი. ქართული სამართლის მიმოხილვა 10/2007-2/3. თბილისი 2007.
- გიორგაძე ვ. საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის წინაპირობები საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით. *სამართალი და მსოფლიო* N8/2017, თბილისი 2017. (ხელმისაწვდომია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში)
- ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ. არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი. UNDP Georgia 2016. თბილისი 2017.

- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, თბილისი 2018.
- კეკელიძე გ., ტყემალაძე ს. გზამკვლევი არბიტრაჟში საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მოსამართლეებისათვის. UNDP Georgia (2017).
- ლიპარტიანი ნ. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმის ნაკლი და მისი სამართლებრივი შედეგები. *მართლმსაჯულება და კანონი* #4(47)'15. (ხელმისაწვდომია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში).
- მოქია ი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). თბილისი 2015.
- ფიცხელაური ნ. ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან. (სადისერტაციო ნაშრომი). თბილისი 2015.

ქარცივაძე ლ., ჟიჟიაშვილი თ., გზამკვლევი საქართველოს  
მორჩილაძე თ., კეკელიძე გ. სააპელაციო სასამართლოს  
მოსამართლეთათვის. „არბიტრაჟის  
ინიციატივა - საქართველო“, თბილისი  
2017.

ცერცვაძე გ. საერთაშორისო არბიტრაჟი  
(შედარებითი ანალიზი). თბილისი  
2008  
(ხელმისაწვდომია თსუ-ს  
იურიდიული ფაკულტეტის  
ბიბლიოთეკაში)

ცერცვაძე გ. საერთაშორისო საარბიტრაჟო  
განხილვის წინაპირობები.  
სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი  
2008.

ცერცვაძე გ. საერთაშორის საარბიტრაჟო  
გადაწყვეტილებათა ცნობა და  
აღსრულება. *მართლმსაჯულება და  
კანონი* #1(8)'06, თბილისი 2006  
(ხელმისაწვდომია თსუ-ს  
იურიდიული ფაკულტეტის  
ბიბლიოთეკაში).

ICCA-ს სახელმძღვანელო 1958 წლის  
ნიუ-იორკის კონვენციის  
განმარტებაზე: ცნობარი  
მოსამართლეთათვის. „კომერციული  
არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო“  
2013

ჭანტურია ლ. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ  
კომენტარი. თბილისი 2015,  
ხელმისაწვდომია [www.gccc.ge](http://www.gccc.ge).





Комаров В. В., Погорецкий В. Н.

Международный коммерческий  
арбитраж. Харьков «Право» 2009

**ნორმატიული აქტები:**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი

**სასამართლო გადაწყვეტილებები:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 2 აპრილის განჩინება, საქმე #ა-204-შ-43-03.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმე #ას-176-503-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №ას-804-858-201.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება #ას-148-140-2017,